645
1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

1999

5-6





სცენა სპექტაკლიდან
„ჩვენი პატარა ქალაქი“





ბებო 100 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ ნაწილობრივი დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა მგელაძე**

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ტექრედაქტორი **ნანული ბუკია**

გარეკანის პირველ გვერდზე – მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო„

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

“Sakartvelos Kali”
a Magazine for Woman of the Republic of Georgia
Georgian Woman



# ჟამი დიდ ჩანაფიქრთა აღსრულებისა

Თავისი მასშტაბისა და სამომავლო შორსმიმავალი შედეგების მიხედვით 1999 წლის 27 აპრილი დიდგორის ომის მოგებას შეიძლება შევუდაროთ. არა მგონია, ეს ჩემი სუბიექტური შეხედულება იყოს მხოლოდ, გულში ასე უნდა ფიქრობდეს ყველა ქართველი. და თუ ეს ნაფიქრი და სიხარულის უნაპირო გრძნობა საჯაროდ ჯერაც არ გადმოღვრილა, ამას მრავალი მიზეზი აქვს. ერთი მიზეზთაგანი ალბათ ისიც არის, რომ რწმენა შერყეული აქვს ქართველობას, სკეპსისის ჭია ღრღნის, უძნელდება მართებულად აღქმა და დაჯერება იმისა, რაც სულ ცოტა ხნის წინათ სიზმრადაც არ მოელანდებოდა.

რწმენის შერყევისა და სკეპსისის მოძალების ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე დღეს წარმოგვიდგენია. მისი ჩანასახები უკვე იმ გადარეულ მიტინგებშიც იპოვებოდა, როდესაც დამოუკიდებლობის იდეით აღტყინებული და აზვირთებული მასები ხარბად ნთქავდნენ „ლიდერების“ მიერ მეგაფონებიდან გადმოფრქვეულ ლოზუნგებს და მათთან ერთად თავს იტყუებდნენ – ოღონდ დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და თუ გინდა, ბალახს მოვძოვთო!

მერმინდელ მოვლენებშიც იპოვებოდა, როდესაც დამოუკიდებლობანას თამაში დავიწყეთ ყოვლად გაუაზრებლად, უსისტემოდ, უპროგრამოდ, როდესაც ტომი ტომს გადავკიდეთ, ქართველობა – სხვა ხალხებს, კიდევ სხვა ხალხები – ქართველობას, როდესაც მივდექით და ქვეყნის ძარცვის, ნგრევის, გაჩანაგების პროცესებში ჩავერთეთ თავგზაარეულნი და ისე დავაქციეთ საქართველო, როგორც არც ერთი პოსტსაბჭოური რესპუბლიკა არ დაქცეულა...

1992 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი გენშერი. გუშინდელივით მახსოვს, როგორ გავიხარეთ რამდენიმე მეგობარმა (ჩემს ოჯახში ვუყურებდით ტელევიზორს). ოღონდ ეს ჯერ მხოლოდ ემოციური აღქმა იყო მოვლენისა: ვიგრძენით, რომ რაღაც დაიწყო, ზარდამცემი სტაგნაციის გარღვევა დაიწყო, საითკენაც დავიძარით.

მაშინ ჩვენ, პოლიტიკასა და სახელმწიფო პრობლემებში ჩაუხედავმა ადამიანებმა ვერ ვიაზრეთ, რომ ეს მოვლენა დიდ ჩანაფიქრთა აღსრულების პირველი ნაბიჯი იყო, იმ გამჭოლ ჩანაფიქრთა, რომელთა შედეგები მყისიერად ვერ გამოვლინდება, მხოლოდ თანდათანობით იჩენს თავს, თვეების, წლების, შესაძლოა მრავალი წლის შემდეგაც (ისევე როგორც 1999 წლის აპრილში განხორციელდა 1992 წლის მარტის თვის ჩანაფიქრი).

არადა, სულსწრაფსა და მოუთმენელ, ნებელობამოჩლუნგებულ ქართველებს ერთბაშად გვინდა ყველაფერი – დამოუკიდებლობის სიმტკიცეც, ქვეყნის გამთლიანებაც, ევროპული სტანდარტების მიხედვით აწყობილი სახელმწიფოც, კარგი ხელფასებიც, სამედიცინო მომსახურებაც, მრავალი და მრავალი სხვაც.

ყოველ ჩვენგანს თვითონ სურს იყოს კარგად, სხვისას არად დაგიდევთ, მით უმეტეს – სახელმწიფოსას. სახელმწიფო უსახური აბსტრაქციაა ჩვენთვის, ზოგჯერ უცხო და მტრულ ძალადაც გვეჩვენება. ვერ ვითვალისწინებთ იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ სახელმწიფოს სიძლიერე ისევ და ისევ ჩვენი სიძლიერე და კეთილდღეობაც არის და – პირიქით.

სახელმწიფური აზროვნება გვაქვს დავიწყებული, აი, იმნაირი, ორასი წლის წინათ ჯერ კიდევ შემორჩენილი რომ გვქონდა.

ამიტომ ვბუზღუნებთ გაუთავებლად, დღევანდელი სიდუხჭირის იქით გახედვა გვიძნელდება, წვრილმან გასაჭირთა და უბედობათა მიღმა ვერ ვამჩნევთ უმთავრეს ტენდენციებს, წამყვან ტენდენციებს, იმ დიდ ჩანაფიქრთა შედეგად გამოკვეთილ ტენდენციებს ვერ ვამჩნევთ.

ასე შეუმჩნევლად დაგვიდგა ჟამი დიდ ჩანაფიქრთა აღსრულებისა.

**რევაზ თვარაძე**

რწმენა



# რა მსხვერპლი შევწიროთ ღმერთს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში დღემდე შემორჩენილია სისხლიანი მსხვერპლშეწირვა – წარმართობის გადმონაშთი. ადამიანები სასოებით ელოდებიან ამა თუ იმ საუფლო დღესასწაულს, რათა შეთქმული „საღვთო" შესწირონ ღმერთს. მათ არ იციან, რომ „მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული", – მათ არ იციან, რას ეუბნება უფალი ყოველ დაბადებულს: „მე ვარ ღმერთი, შენი ღმერთი... არ შევიწირავ შენი სახლიდან ზვარაკებს, არც შენი ფარეხიდან ვაცებს, რადგან ჩემია ტყის ყველა ცხოველი, – პირუტყვი ათასობით მთებში. ჩემთვის ცნობილია ტყის ყველა ფრინველი და მინდვრის ცხოველები ჩემს წინაშე არიან. თუ მომშივდა არ გეტყვი შენ, რადგან ჩემია ქვეყანა და სავსება მისი. ნუთუ ხარების ხორცსა ვჭამ და ვაცების სისხლს შევსვამ? მადლობა შესწირე ღმერთს და შეუსრულე უზენაესს აღთქმები შენი და მომიხმე მე გაჭირვების დღეს; გადაგარჩენ და შენ განმადიდებ". ამავე ფსალმუნში უფალი აფრთხილებს უკეთურთ: „გამხილებ და შენს თვალწინ დაგიმტკიცებ, – ჩაუფიქრდით ამას ღმერთის დამვიწყებლებო, თორემ მოგსრავთ და ვერავინ გიშველით". შემდეგ კი აღუთქვამს მართალთ: „ვინც სწორ გზას დაადგება, მას ვუჩვენებ შველას ღმერთისას".

მაშასადამე, არავითარი ცხვარი, ქათამი და კურატი არ სჭირდება ღმერთს, – ერთადერთი შესაწირავია გული – „გული შემუსვრილი და დამდაბლებული". თუ უნდა ადამიანს მსხვერპლი შესწიროს უფალს, წელიწადში ერთი ცოდვა მაინც მოიკვეთოს, რომელიც სულს უმძიმებს და ეგ იქნება ყველაზე დიდი შესაწირავი.

სამწუხაროდ, ზოგიერთს უჭირს საკუთარ სულში ჩაღრმავება და ცოდვების შეცნობა, ისინი დარწმუნებული არიან თავიანთ უცოდველობაში და ამპარტავნობენ საკუთარი კეთილი საქმეებით. მაშინ, როდესაც წმინდა მამები ცრემლით შეღაღადებენ უფალს: „ღმერთო, განმწმინდე მე ცოდვილი, რამეთუ არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა". ასე ლოცულობენ სულიერი მოღვაწენი, რომელთაც ეცოტავებათ თავიანთ მიერ ქმნილი სიკეთე, ხშირ შემთხვევაში – აღარც კი ახსოვთ და სულ იმას ფიქრობენ, რა დარჩათ გასაკეთებელი. როდესაც ადამიანი უფლის წინაშე რაიმე სიკეთეს აკეთებს, არ უნდა დაიმახსოვროს, ის უფრო მეტს უნდა ცდილობდეს. კეთილ საქმეებს ანგელოზები იწერენ და განკითხვის ჟამს წარადგენენ უფლის წინაშე. ადამიანი თუ ცუდმედიდურობს, ის შლის იმ სიკეთის კვალს, რომელიც მოიმოქმედა. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ავი ანგელოზი დაგეშილი დაძრწის იმ უკეთურების ჩასაწერად, რომელსაც ადამიანი სჩადის...

ძველი აღთქმის ეკლესია რიტუალურ მნიშვნელობას ანიჭებდა სისხლიანი მსხვერპლის შეწირვას, – ზვარაკის დაკვლით და სისხლის პკურებით ისრაელს მიეტევებოდა ცოდვები. იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოველის სისხლი საჭირო აღარ არის, – ჩვენთვის განკაცებულმა და ჩვენთვის დაკლულმა უფლის კრავმა ჯვარზე აიტანა თითოეული ჩვენგანის ცოდვა და თავისი წმინდა სისხლით გამოგვიხსნა.

ის, ვინც უფლის მცნებების უგულებელმყოფელია, შეურაცხყოფს მაცხოვრის ჯვარცმასაც, რამეთუ მაცხოვრის განკაცების და ჯვარცმის მისტერია ადამის ცოდვის და საერთოდ, ადამიანთა ცოდვების საკუთარი სისხლით გამოსყიდვა იყო.

ვინც ეკლესიურად ცხოვრობს, ვისაც გული ღვთისათვის აქვს შეწირული, მან იცის, რომ ტაძარში უსისხლო მსხვერპლი – პური (სეფისკვერი) და ღვინო უნდა შესწიროს, რომელიც წირვის დროს იესო ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაიქმნება ბარძიმში და მრავალთ განწმენდს ზიარებით.

ვინც არაეკლესიურია, ვინც ქრისტეს სისხლის და ხორცის უგულებელმყოფელია, უმეტეს შემთხვევაში ისინი სწირავენ „საღვთოს" და კმაყოფილნი იმით, რომ ღვთის წინაშე ვალი მოიხადეს, ღრეობენ და დღესასწაულობენ. მათ შესახებ კი უფალი ამბობს: „დღესასწაულნი თქვენნი სძულან სულსა ჩემსა"; (ესაია – 1, – 14); „მოვიძულენ და განვიშორებ დღესასწაულთა თქვენთა". (ამოს. 5, – 21). ასეთ მედღესასწაულეთა შესახებ გულისტკივილით შენიშნავდა კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში: „რა არის ესოდენი უზომო სმა და ჭამა, სიმღერა, შეუსაბამო ხუმრობა, დაუღალავ-განუწყვეტელი ცეკვა, ახირებული სიცილი და სხვა. თუ ხალხი მოდის ხატის კარს სალოცავად, მაშ რაღად გაისმის ეს საზიზღარი და საზარელი ხმაურობა?.. მოვდივართ, ვითომდა ღვთის სადიდებლად, ღვთის კურთხევის მისაღებად და ნამდვილად კი ვიძენთ ათასგვარ ბოროტება-სიავეს; მოვდივართ ვითომდა ეკლესიების სარგებლობისათვის, საქმით კი დიდი ზარალის, მისი ეზო-კარმიდამოს გაბინძურება-შებილწვის მეტს არას ვარგივართ მას".

საკლავის დაკვლა საუფლო დღესასწაულებში ძველად იმით იყო გამართლებული, რომ ჩვენი წინაპრები ფეხით და ურმებით მიდიოდნენ სალოცავში შორეული სოფლებიდან. გამზადებულ საჭმელს ვერ წაიღებდნენ, რადგან გზაში გაფუჭდებოდა, სატარებლადაც ძნელი იქნებოდა, საკლავი კი ფეხით მიჰყავდათ; ამავე დროს, ნამარხულევი მრევლი მიდიოდა საზიარებლად, – ისინი ღამისთევას ესწრებოდნენ და წირვის შემდეგ კლავდნენ საკლავს. დღეს საკლავის დაკვლას ერთადერთი გამართლება აქვს – მშიერი ხალხის დაპურება – მოწყალების გაღება და არა ღრეობა, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭეშმარიტად: მცხონებელი ცხონდება!

*ადამის მოდგმა გაჩენის დღიდანვე ეძიებს თავისი არსებობის, მოწოდებისა და დანიშნულების რაობას, ხსნის გზას და მიღწეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებიც ამ დაუცხრომელი ძალისხმევის შედეგია. მაგრამ ძიება მარადიული პროცესია, იგი უსასრულოდ გრძელდება, რადგან უსასრულოა სიტყვისა და საქმის, აზრისა და ნივთის პირველსაწყისებში წვდომა, ჭეშმარიტ ღვთიურობასთან მიახლება.*

*მეტი სინათლისათვის პირველ სიტყვას ვუთმობთ ტოტალიტარიზმის ბატონობის ხანაში ათვალწუნებულ გამოჩენილ რუს ფილოსოფოსს, პუბლიცისტსა და პოეტს ვლადიმერ სოლოვიოვს (1853-1900), რომელიც აღიარებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაფუძნებული რუსული რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების სკოლის მამამთავრად. ვფიქრობთ, ასი წლის წინათ პირველად გამოქვეყნებული ეს შედევრი ჩვენი მკითხველის ყურადღებასაც დაიმსახურებს, ღრმად ჩააფიქრებს და განსჯისათვის მოუხმობს იმ სიკეთისა და უკეთურობის, ამაღლებულისა და დამდაბლებულის შესახებ, რომელიც მიწიერ ყოფიერებაში სახიერად კი გვევლინება, მაგრამ გამართლებისა და გაუმართლებლობის, ჰოსა და არას უპირობო საწყისს მარტოოდენ ზეციერებიდან იღებს. ცდომილებისაგან განდგომა და ძველი სალოცავებისადმი დაბრუნება განსაკუთრებით საშური საქმეა კომუნისტური იდეოლოგიითა და პრაქტიკით ერთობ დამძიმებულ სივრცეში, დიახ, სხვა გზა არ არსებობს, ჩვენმა ადამიანებმაც უნდა შეძლონ რწმენასა და სულიერებისაკენ შემობრუნება, მიხრწნილობის ნაოჭების მიღმა უჭკნობი მშვენიერების ბრწყინვალების ხილვა, ღვთიური ნათელმოსილობის ზიარება.*

*ველით მკითხველის გამოხმაურებას ჩვენს ახალ რუბრიკაზე.*

ვლადიმერ სოლოვიოვი

## საიდუმლოება პროგრესისა

იცით თუ არა თქვენ ზღაპარი?

მონადირეს გზა დაებნა უდაბურ ტყეში; ქანცგამოცლილი ჩამოჯდა ქვაზე ფართო და აბობოქრებული მდინარის პირას. ზის და ჩასცქერის მრუმე სიღრმეს, ყურში ჩაესმის, შემოქმედი როგორ გაბმით ურაკუნებს და ურაკუნებს ხის ქერქს. და შეუღონდა სული მონადირეს. „ცხოვრებაშიც ისევე ეული ვარ, როგორც ტყეში, — ფიქრობს იგი, — უკვე დიდი ხანია კვალი დავკარგე ამ დახლართულ ბილიკებზე და ჩემთვის გზააბნეულობიდან გამოსავალი არ არსებობს. მარტოობა, ქმუნვა და აღსასრული! რისთვის გავჩნდი, რამ მომიყვანა ამ ტყეში? რა ხეირი მარგუნა ჩემ მიერ დახოცილმა ნადირმა და ფრინველმა? ამ დროს ვილაცამ მხარზე ხელი შეახო. ხედავს: წინ კუზიანი დედაბერი დგას, როგორც მსგავს შემთხვევებში ჩვეულებრივ გვხვდება, — სულ მთლად ჩამომხმარია, ფერი ხანგრძლივად ჩაბუდებულ სატახტო ქალაქის ჭოტს ანდა გაუწმენდავი ჩექმის ყელს მიუგავს. პირქუშ თვალებს აცეცებს და ღაბაბზე ორი ბუჩქი ჭაღარა თმა აბზეკია. ტანსაცმელი კი ძვირფასი აცვია, თუმცა ერთობ ძველი და მთლიანად დაძონძილია. „მისმინე, კეთილო ჭაბუკო, გაღმა მხარეს მეგულება ერთი კუთხე-კუნჭული — ნაღდი სამოთხეა! თუ იქ მოხვდები, ყოველგვარი წუხილი დაგავიწყდება. მარტოდმარტო გზას მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ იპოვი, მე კი სულ პირდაპირ მიგიყვან — თავად იქაური ვარ. შენ მხოლოდ იქითა მხარეს გადამიყვანე, — თვითონ აბა როგორ შევძლებ მდინარების განივ გადაკვეთას, ფეხებს ისედაც ძლივს ვამოძრავებ, სულს ვლაფავ, სიკვდილი კი ოჰ-ოჰ როგორ არ მინდა !" — მონადირე გულკეთილი ყმაწვილი იყო. მან დედაბრის სიტყვები სამოთხის კუთხე-კუნჭულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ ოდნავადაც არ დაიჯერა, არც შმაგ ნაკადულში გასასვლელი ფონის ძიება იწვევდა ცდუნებას, დედაბრის თრევაც როდი გამოიყურებოდა ძალზე მიმზიდველად, მაგრამ თანამოსაუბრეს მაინც შეხედა – იგი ახველებდა და ერთიანად კანკალებდა. „ხომ არ უნდა დაიღუპოს, – ფიქრობს იგი, – ძველი ადამიანი! ალბათ, ას წელს გადაცილებულია და თავის ცხოვრებაში რამდენი ტანჯვა-წვალება ექნება გამოვლილი, – საჭიროა მისთვისაც გავისარჯო“. – „აბა, ბებია, ზურგზე შემომაჯექი. ეს ძვლებიც შიგნით შემოსწიე, თორემ სულ დაგეფანტება და წყალში ველარ მოხიკავ“. როცა დადაბერი მხრებზე შემოაცოცდა, ჭაბუკმა ისეთი საშინელი სიმძიმე იგრძნო, თითქოსდა ზურგზე კუბოში ჩასვენებული მიცვალებული აიკიდაო, – ნაბიჯი ძლივს გადადგა. „რა გაეწყობა, – ფიქრობს იგი, – ახლა უკან დახევა სირცხვილია!“ წყალში შესტოპა და უცებ თითქოს სიმძიმემ იკლო, ყოველი ფეხის გადადგმაზე ტვირთი თანდათან მსუბუქდებოდა და მსუბუქდებოდა. და ეჩვენებოდა, რომ რაღაც დაუმართებელი ემართებოდა. მხოლოდ პირდაპირ მიემართებოდა და წინ იყურებოდა. როგორც კი ნაპირს მიაღწია, უკან მოიხედა: დედაბრის ნაცვლად ენით აუწერელი სილამაზის ქალიშვილი, ნამდვილი მზეთუნახავი ჩახუტებოდა. და მიიყვანა მან ჭაბუკი თავის სამშობლოში, ამიერიდან იგი აღარ უჩიოდა მარტოობას, აღარ უჯავრდებოდა ნადირსა და ფრინველს, აღარ დაეძებდა გზას ტყეში.

ეს ზღაპარი რაიმე ვარიანტით ყველამ იცის, მეც ვიცოდი იგი ჯერ კიდევ ბავშვობიდან, მაგრამ მხოლოდ სადღეისოდ ვიგრძენი მისი სავსებით არაზღაპრული საზრისი. თანამედროვე ადამიანმა წარმავალი, წუთიერი კეთილდღეობისა და მფრინავი ფანტაზიებისადმი გამოდევნებით დაკარგა ცხოვრების მართებული გზა. მის წინაშე ბნელი და შეუჩერებელი ცხოვრებისეული ნაკადია. დრო, როგორც შემოქმედი, ულმობელად ითვლის დაკარგულ წამებს. წუხილი და მარტოობა, წინ კი წყვდიადი და დაღუპვაა. ამის მიღმაა ძველი დროის საღვთო თქმულებები – ოჰ! როგორი არამიმზიდველი ფორმებით, მაგრამ აქედან რა გამოდის? დაე ადამიანმა მხოლოდ გაიფიქროს, თუ რით არის დავალებული იგი ამ თქმულებებისაგან; დაე შინაგანი გულის ძგერით **პატივი მიაგოს** მის ჭაღარას, დაე **სინანული გამოთქვას** მის უძლურებათა გამო, დაე **შერცხვეს** ამ მოჩვენებითობის კვალობაზე მისგან განდგომისა. იმის ნაცვლად, რომ ფუჭად ათვალიეროს მოლანდებული ფერიები ღრუბლებს ზემოთ, დაე იგი გაისარჯოს, რათა წარსულის ეს საღვთო ტვირთი ისტორიის ნამდვილ ნაკადს გადაულოცოს. ეს ხომ საკუთარი ცდომილებიდან მისი **ერთადერთი** გამოსავალია, – ერთადერთი იმიტომ, რომ ნებისმიერი სხვა გზა არასაკმარისი, უკეთური და უსინდისო იქნებოდა: ხომ არ უნდა დაიღუპოს ძველი ადამიანი!

ზღაპრის არ სჯერა თანამედროვე ადამიანს. არ სჯერა, რომ მიხრწნილი დედაბერი მზეთუნახავად გადაიქცევა. არ სჯერა – მით უკეთესი! რა ბედენაა სამომავლო ჯილდოს რწმენა, როცა მოგეთხოვება მისი დამსახურება აწმყოში ძალისხმევითა და თავგანწირული მამაცობით? ვისაც არ სწამს ძველი სალოცავის მყობადი, მას მაინც უნდა ახსოვდეს მისი ნამყო. რატომ არ აიტაცებს ადამიანი ხელში ამ სალოცავს მისი სიძველისადმი პატივის მიგების, მისი დაცემით გამოწვეული სიბრალულისა და უკეთურად შერაცხვის სირცხვილის გამო. ნეტარი მორწმუნენი, ჯერ კიდევ ამ ნაპირზე დგომისას, მიხრწნილობის ნაოჭების მიღმა უკვე ჭვრეტენ უჭკნობი მშვენიერების ბრწყინვალებას. თუმცა სამომავლო გარდაქმნის არამორწმუნეებსაც აქვთ სარგებელი – **უცაბედი სიხარული.** მათთვისაც და სხვებისთვისაც საქმე ერთია: წინ იარონ, სიძველის მთელი სიმძიმე იტვირთონ.

თანამედროვე ადამიანო, თუ შენ გსურს იყო მომავლის ადამიანი, კვამლიან ნანგრევებში არ დაივიწყო მამა არქიფი და მშობლიური ღმერთები. მათ სჭირდებოდათ ღვთისნიერი გმირი, რათა იტალიაში გადაბრძანებულიყვნენ, მაგრამ მარტოოდენ ღმერთებს ხელეწიფებათ გმირს უბოძონ მოდგმაც თავისი, იტალიაც და სამყაროს მბრძანებლობაც. ხოლო ჩვენი სალოცავი ტროელებისაზე უფრო ძლევამოსილია, ამასთან გზაც ჩვენი იტალიასა და მთელ მიწიერ სამყაროზე შორს მიემართება. **მცხონებელი ცხონდება.** აი საიდუმლოება პროგრესისა – სხვა რამ არ არის და არც იქნება.

თარგმნა
**შიო ლარცულიანმა**

# მზითვს ამოფარებული სიკვდილი

# დასახმარებელი ბევრია, სახსრები







ეროვნული ბიბლიოთეკა

# — ცოტა და მაინც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედის მწვანე კვირტები

## მარტოხელა მამა

დიდი ხანია ვიცნობ. სულ ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა ახალგაზრდული გაზეთის რედაქციაში, როცა უფროსმა კოლეგამ, რომლის აზრს პატივს ვცემდი, რადგან ადამიანს დაუმსახურებლად არც შეაქებდა და არც აუგს იტყოდა, საერთოდაც კაცის ამოცნობის იშვიათი უნარი ჰქონდა, მითხრა:

– უპატიოსნესი კაციაო.

მას შემდეგ, სადაც კი მოვკრავდი თვალს გიგლა აბდალაძეს, რომელიც მაშინაც ჟურნალის რედაქციაში მუშაობდა და ახლაც იგივე, მაგრამ სახელნაცვალ ჟურნალში მუშაობს, უნებლიეთ ამოტივტივდებოდა კლიშე: უპატიოსნესი კაცი.

ცხოვრობდა კაცი როგორც უნდა ეცხოვრა პატიოსან ჟურნალისტს, საქმეს უჩუმრად აკეთებდა, მაინცდამაინც თავმომწონედ თავალერილს არ უვლია, ფული და ქონება არასოდეს ჰქონია, მაგრამ საყვედურიც არ დასცდენია. ოჯახში ორ შვილს ზრდიდნენ, ნორმალურად ცხოვრობდნენ.

მოკლედ, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, მოსაყოლად იქნებ არც ღირდეს, ვიდრე... დიახ, ვიდრე ფრიად სამწუხარო და სრულიად მოულოდნელი (მოულოდნელი, როგორც ყოველგვარი უბედურება) უბედურება არ დაატყდა თავს ოჯახს – გიგლას მეუღლე, ორი შვილის დედა, ახალგაზრდა ქალი ტრაგიკულად დაიღუპა.

ეს საზარელი ამბავი ყველასათვის თავზარდამცემი იყო და, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ორი მცირეწლოვანი შვილის მამისათვის.

ჯერ თავისთავად მეუღლის დაკარგვა, მერე სხვა თავზარი: შვილებს რა ვუყო!

უბედურებას უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ბავშვებს არც დეიდა ჰყავდათ, არც მამიდა, არც სხვა ახლობელი ქალი, ცოტა ხელი რომ წაეკრა უსუსური ბავშვებისათვის და აწ უკვე მარტოხელა მამას ბავშვების გაზრდაში პირველ ხანებში მაინც წახმარებოდა. მხოლოდ ძმისშვილმა ჩამოაკითხა რამდენიმე ხნით.

თვითონ გიგლას კი არანაირი საოჯახო საქმე არ ეხერხებოდა – თუ ცოლი არ დაუსხამდა, ჩაისაც ვერ დალევდა.

არ იცოდა, ფაფა ცივ წყალში კეთდებოდა თუ ცხელში, სარეცხი ჯერ ცივ წყალში უნდა ჩაეყარა და მერე ცხელში, თუ – პირიქით.

ასე რომ, დარჩა მარტო კაცი ხუთი წლის გოგონათი და თოთხმეტი წლის ბიჭით.

გოგო თავის ხელით საჭმელსაც ვერ ჭამდა.

დადიოდა ოთახში, კარადაში, საწოლქვეშ იცქირებოდა და დედა სად არისო? წამდაუწუმ კითხულობდა.

– მოსკოვშია, კაბას ჩამოგიტანს, – აშოშმინებდა მამა.

– თოჯინას? – ჩაეკითხებოდა პატარა.

– აბა რა, თვალხუჭუნა თოჯინასაცო, – ყელში ბურთი ეჩრებოდა კაცს.

მერე თავის ტოლა ბიძაშვილმა ბავშვური უზრუნველობით მიახალა: დედაშენი ხომ მოკვდაო!

არავინ იცის, გაიგო ბავშვმა რაიმე თუ რა მოხდა. ეს კი იყო, იმის შემდეგ კარგა მოზრდილობამდე „დედა“ აღარ უხსენებია. მამას მიეტმასნა. უმისოდ ლუკმას არ ჭამდა.

სკოლაში წასვლის წინ მამა ჩაის რომ დაუსხამდა, უცდიდა, როდის მომირევსო.

– ამოდენა გოგო ხარ, ჩაის ვერ მოურევ? – უსაყვედურა გიგლამ.

– შენი მორეული უფრო გემრიელია, – სერიოზულად უპასუხა ბავშვმა.

– გათხოვებამდე ჩაის მაინც მე ვურევდი, თითქოს ამითი უდედობას არ ვაგრძნობინებდი.

გავჩუმდით.

გიგლას თვალები მოუწყლიანდა. მეც ქუთუთო ამექავა.

გამახსენდა:

სამი წლის იყო ჩემი ქალიშვილი, როცა სოსისი გასინჯა. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა მოწონებოდა, თუკი ეს მოწონება ამგვარად გამოხატა:

– საჭმელებში სასისკი მიყვარს, ადამიანებში – დედა!

ადამიანებში – დედა! ეს ხომ უნივერსალური საკაცობრიო დევიზია. რამ ათქმევინა თითის სიგრძე ბავშვს ესოდენ ტევადი სხარტი და აფორიზმივით მოქნეული ფრაზა?

ალბათ, სიყვარულმა.



გიგლა აბდალაძე შვილიშვილთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვისთვის ხომ სამყაროს ჭიპი დედაა!

კიდევ მცირე გახსენება:

სამსახურიდან გვიან მივედი შინ, მორიგე ვიყავი. ბავშვები დაძინებული დამხვდნენ.

საბანი ამოვუკეცე და ფრთხილად ვაკოცე. ბავშვმა ალერსი იგრძნო, შეიშმუშნა და ჩაიბუტბუტა:

– დედიკო, მე დღეს დამაკლდა... არ მეყო.

გული გადამიტრიალდა.

– რა, დედიკო, რა დაგაკლდა? – ჩუმად ვკითხე.

– მო-ფე-რე-ბა! ჩაილაპარაკა და ძილში სახეზე ღიმილი დაეფინა, რადგან იგრძნო, ახლა ამ დანაკლისს ავუნაზღაურებდი.

და რომ წარმოვიდგინე გიგლას პატარა გოგო დედის ალერსს მოკლებული, ორივე მშობლის წილ გრძნობას მამას სთხოვდა, თვალზე ცრემლი მომადგა.

– რა მექნა, – განაგრძობდა გიგლა, – მოფერებას მთხოვდა და რაც შემეძლო, ვცდილობდი. ისე რომ, ბიჭმა იეჭვიანა და მკაცრად მითხრა:

– შენ სულ ცისიას ეფერები, მე აღარ გახსოვარ.

ბიჭთან სულ სხვა პრობლემები მქონდა. 14 წელი, გარდატეხის ასაკი, ყველაზე რთულია მამებისა და შვილების ურთიერთობაში. 14-15 წლის ბიჭი აღარც ბავშვია და ბავშვივით ვერ მოექცევი, მაგრამ ჯერ ხომ არც კაცია. ასე რომ, სულ სხვა ენაზე უნდა ელაპარაკო.

და დაიწყო ამ ასაკისათვის ჩვეულებრივი ამბები, თუმცა ეს ახლა მგონია ჩვეულებრივი, თორემ მაშინ მეგონა – ჩემი წილი ცა თავზე ჩამომექცა-მეთქი, როცა ერთ ღამეს შინ არ მოვიდა.

მანამდე იყო მასწავლებლის ზარი:

– მერაბი დღეს გაკვეთილზე არ მოვიდა. სად დადის?

სად იყო? სადაც სხვები, შატალოზე, კინოში, ლუდის დასალევად, ბიჭებში. ამ ასაკს ხომ ღირებულებათა თავისი სკალა აქვს. როცა ყველა ბიჭი მიდის შატალოზე, თუ ბიჭი ხარ შენც უნდა წახვიდე, თუ არადა, ქალაჩუნა და მშობლის კალთას ამოფარებულ ბიჭს ვინ ჩააგდებს რამედ?

მაგრამ ისედაც გულგახეთქილს და საგონებელში ჩავარდნილს ყველაფერი მუქად გეჩვენება.

სამსახურიდან გაქცეული დაეძებს ბიჭს ამხანაგებში, ნათესავებში, უბნის სტადიონსა და ბირჟაზე და როცა უდარდელად მოღიმარს დაინახავს, თავს ვეღარ ერევა და სილას გააწნავს. იქვე, ამხანაგების თვალწინ. იცის, ეს დაუშვებელი ილეთია და მაინც...

საპასუხო რეაქცია: მერაბი სადღაც გაუჩინარდა. არც შინ მიდის, არც სკოლაში.

– ასეთ დროს მინატრია: ნეტავ მე მოვმკვდარიყავ და დედა ცოცხალი ყოლოდა-მეთქი.

რამდენი ასეთი გულისხეთქვა მახსოვს, მაგრამ დროს თავისი გაჰქონდა და ნელ-ნელა ყველაფერი თავის კალაპოტს უბრუნდებოდა.

იმან მიშველა, რომ ბიჭი ნიჭიერი იყო, განსაკუთრებით მათემატიკური საგნები ეხერხებოდა, მაგრამ არც სიზარმაცე იყო მისთვის უცხო.

უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ორჯერ დააკლდა ნახევარი ქულა, მესამე წელს ჩაირიცხა ეკონომიკური კიბერნეტიკის განხრით. ორი წელი იქაც ურევდა – ხან მიიღებდა ნიშანს, ხან – ვერა.

ჩემი კოლეგები და ამხანაგები ასწავლიდნენ, მაგრამ არც ერთხელ „ჩამიწყვია" ნიშანი, პირიქით. ორჯერ სტიპენდიაც კი დავაკარგინე; არ მინდოდა „არამ ლუკმას", ცხოვრებისაგან დაუმსახურებლად რაიმეს მიღებას შეჩვეოდა.

წარმოიდგინე, გამიმართლა.

ბიჭში მესამე კურსზე საოცარი გარდატეხა მოხდა. ლექტორი გაოცებული იყო: შარშან სამი ძლივს დავუწერე და წლეულს ხუთზე ჩამაბარაო. სხვა საგნებშიც ხუთები რომ მიიღო, მივხვდი, ჩემს მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია.

მართლაც, უნივერსიტეტი დაამთავრა და მოსკოვში ასპირანტურაში ჩაირიცხა. დამთავრებისთანავე ხარისხიც დაიცვა. ახლა ჩვენს უნივერსიტეტში საგარეო ეკონომიკაში ლექციებს კითხულობს. ექვსი თვე ამერიკაში იღრმავებდა ცოდნას.

არა, თავმდაბლობას არ ვითამაშებ. შვილების (ანუ ჩემი თავის) კმაყოფილი ვარ. რა მონაცემებიც ჰქონდათ, მისი რეალიზება შევაძლებინე – გოგონამ უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა, გათხოვდა, ქალიშვილი ჰყავს.

ახლა გიგლა აბდალაძე თავს ბედნიერ მამად და ბაბუად მიიჩნევს. მე მისი ეს სიტყვები არ გამკვირვებია, რადგან ყველა დედა ბედნიერია, თუ შვილები კარგად ჰყავს. გიგლას ხომ ცხოვრებამ დედის ფუნქცია დააკისრა და ამდენი წლის მერე თითქოს დედის თვალებით უმზერს სამყაროს. – თუმცა ქალის საქმე არც მაშინ მიყვარდა და არც ახლა მიყვარსო, – ღიმილით მითხრა.

ვკითხე: ჟურნალისტი ხარ, არ შეიძლება მაშინდელი შენი განცდა ქაღალდისათვის არ გაგეზიარებინა, რაიმე ჩანაწერი მიჩვენე-მეთქი.

დიდი ხვეწნის შემდეგ ეს ერთგვერდიანი ჩანაწერი მომიტანა და მომიბოდიშა: ისე, ჩემთვის ვწერდი და სხვისთვის რა საინტერესო უნდა იყოსო.

გიგლას ჩანაწერებიდან:

„ათი დღეა საავადმყოფოში ვარ.

ათი დღეა შვილები არ მინახავს.

სად არის მამა „ამი ხანი" წამდაუწუმ მეკითხება ცისიაო, – მითხრა გუშინ მეზობელმა.

ექვსი წლის გახდა ერთი კვირის წინ ჩემი გოგონა.

– ცოტაც და გაგწერთ! – დამაიმედა დილით ექიმმა – ნეტავ რამდენ დღეს მოითვლის ეს „ცოტაც"?

მოულოდნელად პალატის კარი იღება და... ზღურბლზე ცისია და მეზობლის გოგონა დგანან.

– მოდი, სიცოცხლევ! – გავძახი.

ფეხაკრეფით მოდიან და საწოლთან დგებიან.

ხელს ვავლებ ჩემს გოგონას და გულში ვიკრავ, კარგა ხანს ვართ გატრუნულები.

– აქ როგორ გაჩნდით? – ვეკითხები მეზობელს. იგი უკვე დიდია, 18 წლისა.

– ცისია შემეხვეწა, მამა მანახეო და... გამოვიპარეთ.

ყასიდად ვბრაზდები.

– ახლავე შინ წადით!

ცისია თავს იღებს, თვალს მისწორებს. ცრემლით ავსებულ და საყვედურებით აღსავსე თვალებს...

მისწორებს და უმალ ვიგრძენი, ეს უკვე ცალსახად, რომ შვილების გამო ავადმყოფობის უფლებაც არა მაქვს. ვიგრძენი და მას შემდეგ ცხადლივ თუ ქვეცნობიერად, მუდამ თან მდევდა ეს მიხვედრა. სწორედ ეს აძლევდა ჩემს სხეულს ძალას და ენერგიას ენით უთქმელი დაძაბულობისა და მობილიზებისთვის გამეძლო".

***

აი, გაგაცანით ერთი პატიოსანი განსაცდელგამოვლილი კაცი.

გიგლამ კი ღირსეულად იტვირთა თავისი ჯვარი, მაგრამ ერთი ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს. რატომ არსად და არასოდეს საზოგადოებას, სახელმწიფოს არ უზრუნია მარტოხელა მამებზე?

იყო დრო (ნაწილობრივ ახლაც ასეა) კანონი შეღავათებს და გარკვეულ პრივილეგიებს აძლევდა მარტოხელა დედებს.

ეს, ცხადია, კარგია.

მაგრამ ვითომ მარტოხელა მამას ნაკლებ უჭირს?

– ნუთუ არაფერში დაგეხმარებიან-მეთქი? გიგლას ვკითხე.

მწარედ გაეცინა – დამხმარებიან კი არა, ბინის მიღების აღრიცხვაზე ვიდექი და უბედურება რომ შემემთხვა, სწორედ მაშინ მომიწია რიგმა. დამიბარა ერთმა ცეკაში და მითხრა: სამოთახიანი ბინის ნაცვლად, ორიანი უნდა მოგცეთ, ერთი სული ხომ მოგაკლდაო.

გავშრი, ვეღარაფრის თქმა მოვახერხე, კარებში რომ გამოვდიოდი, მომაძახა: – გეთხოვა ცოლი და მოგცემდითო.

ხომ წარმოგიდგენია, როგორ ჭრის გულს სხვა ადამიანის სულიერი უმეცრება და სიბეცე, მაგრამ ღმერთს თითქოს რცხვენია ასეთი კაციც რომ შვა და იქვე ასწორებს შეცდომას.

იქიდან გამოსულს გურამ მეტრეველი შემხვდა, ჩვენი კოლეგა, კაცური კაცი.

– გიგლა, როგორ მინდა დაგეხმარო. რამეში გამომიყენე, აგერ მილიციაში მეგობარი კაცი მუშაობს, დავიჯერო არაფერი გინდაო?

მართლაც, შემიყვანა და ჩაწერის პრობლემა იქვე გადამიწყვიტა.

იქიდან გამოსულმა ვიგრძენი: მზე ისევ ანათებდა და ხეებს იმედივით ასხდნენ მალე გასაშლელი მწვანე კვირტები.

ცუდის მერე კარგი კაცი რომ არ შემხვედროდა, რა ვიცი...

– ხომ ხედავ, ძამიკო, ღმერთმა თავის საქმე იცის, – მომეშვა გულზე სევდანარევ ამბავში მზის შუქი რომ აჭიატდა.

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლობა პრეზიდენტისაგან



შეხვედრა ათენში. მარცხნიდან თამარ ჯაში და მარინა ვაჩნაძე.



სტივენ სტრიკლენდი და კინოაკადემიის პრეზიდენტი მარინა სალუქვაძე.

ქალბატონ მარინა ვაჩნაძისათვის სასიამოვნო მოსაგონარია სტუდენტობის ის წლები, როცა მიდიოდა ცხელ ხნულებში, მთისპირა ბილიკებზე, ეკლესიებში გაფერმკრთალებული ფრესკების სანახავად. მერე კი, ახალი ნაშრომებით ამდიდრებდა ქართულ ხელოვნებადმცოდნეობას.

აი მაშინ შეუყვარდა ასე საქართველოს ყოველი კუთხე, განსაკუთრებით – ჯავახეთი.

...ბედნიერება ხვდა ქალბატონ მარინას დიდი ხნის შემდეგ, როცა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე თავის თანამოაზრეებთან – თამარ ჯაშთან და ეთერ ასტემიროვასთან ერთად ჯავახეთის აღდგენის პროგრამაში ჩაება.

ჯავახეთიდან საუკუნენახევრიანი ცხოვრების შემდეგ დუხობორების გაუმართლებელი აყრის შემდეგ საჭირო იყო დარჩენილთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა. გულისტკივილი სიხარულით შეეცვალათ ქალბატონებს, როცა საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდმა ჯავახელ დუხობორთა საცხოვრებელი ბინებისათვის 100 ათასი ლარი გამოჰყო. და კიდევ, ჯავახეთის აღორძინების პროგრამა ამ მიწაზე ჩამოსახლებით ბუნებისაგან დაჩაგრულ აჭარლებსაც გადაარჩენს.

ქალბატონების დაინტერესება ჯავახეთის პრობლემით ცნობილი ეთნოგრაფის ლია მელიქიშვილის წიგნმა „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში" განაპირობა. მათმა ორგანიზაციამ და საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულომ შექმნეს საკოორდინაციო საბჭო, რომლის წევრებიც არიან ნინო კილურაძე, ლია მელიქიშვილი, თამარ ჯაში, ეთერ ასტემიროვა და მარინა ვაჩნაძე. აღსანიშნავია ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" პრეზიდენტის, ქალბატონ ნანული შევარდნაძის დიდი დაინტერესება და დახმარება რთულ პრობლემათა გადასაჭრელად.

ყველაფერი 1994 წელს დაიწყო: მარინა ვაჩნაძეს ოჯახში საპატიო სტუმარი, ამერიკის მშვიდობის ნაციონალური ფონდის პრეზიდენტი სტივენ სტრიკლენდი ეწვია. სტუმარი მოიხიბლა ქართველი მანდილოსნების ჭკუით, სიდარბაისლით, ტაქტით და ურჩია მათ არასამთავრობო ორგანიზაციის „ამიერკავკასიის ქალთა დიალოგის" დაფუძნება. რჩევა საქმით დაგვირგვინდა. (1996 წელს ამ ორგანიზაციას სახელწოდება შეეცვალა).

„ამიერკავკასიის ქალთა დიალოგის" წევრებმა მთავარი ყურადღება ამიერკავკასიის ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობაზე გაამახვილეს. ყარაბახი ჯერ კიდევ ლია ჭრილობა იყო, სისხლი ისევ იღვრებოდა აფხაზეთში.

1994 წელსვე სტრიკლენდმა ქალბატონები ამერიკაში მიიწვია. პირველი შეხვედრა ვაშინგტონში შედგა. დიალოგი სენატში, კონგრესში, მშვიდობის ინსტიტუტში, უდიდეს ფონდებში გაიმართა. საქართველოს წარმომადგენლებმა უტყუარი მასალები და ინფორმაციები წარადგინეს აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ.

კონგრესმენისთვის წარმოუდგენელი იყო უძველესი კულტურის ქვეყანა მე-20 საუკუნის დასასრულს ასეთი ეთნოწმენდის მსხვერპლი გამხდარიყო. ეთნოწმენდის მომწყობთ, კონგრესმენის აზრით, სასჯელი არ ასცდებოდათ.

ასეთივე დასკვნით დაამთავრა მან თავისი სიტყვა კონგრესშიც აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის თანდასწრებით.

მაშინ ამერიკამ პრესის საშუალებით გაიგო ის სიმართლე, რაც ზოგჯერ მავანთა ძალისხმევით თუ მცდელობით მკითხველამდე არ აღწევს.

ქალბატონებმა ნანი ჭანიშვილმა, მარინა ვაჩნაძემ, თამარ ჯაშმა, ეთერ ასტემიროვამ და სხვებმა თავიანთი ვიზიტი ვაშინგტონში წარმატებულად ჩათვალეს.

შემდეგ წლებში შეხვედრები მოსკოვში, ჟუკოვსკში, თბილისში, ათენში, პეკინში გაგრძელდა.

მათ საუბრებს ყოველთვის სასურველი შედეგი მოსდევდა. დაიწყო ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოსვლა აშშ-დან, ათენიდან. ათენში ყოფნის დროს საქართველოს გენერალური კონსული ლადო გაბელია ქართველ ქალბატონებს დახმარებას დაპირდა და მალე ლტოლვილებს თბილისში რამდენიმე ასეული წყვილი ფეხსაცმელი გამოუგზავნა.

საქართველოს წარმომადგენლები უცხოეთში შეხვედრებისას იმასაც ჰყვებოდნენ, როგორ გაჰქონდათ თავიანთი თუ მეგობრების ოჯახებიდან ჭურჭელი, თეთრეული, ტანსაცმელი აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დასახმარებლად, რაც მსმენელთა თანაგრძნობას იწვევდა.

დიდი ხანი არ არის, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამით 35 ტონა ტანსაცმელი და საბნები მიიღეს ზუგდიდში მცხოვრები ლტოლვილებისათვის. ქალბატონები მარინა, თამარი, ეთერი და ახალგაზრდული ჯგუფის წევრები – მარინა სალუქვაძე, მარინა ქოჩიაშვილი, საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულოს თავმჯდომარე ნინო კილურაძე და ნანა ალექსანდრია ზუგდიდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემგზავრნენ და იქ რამდენიმე დღე დაჰყვეს, რათა ყველას თანაბრად რგებოდა სურსათი, ტანსაცმელი თუ დასახური. მერე კი პატარა ნობათი მარტყოფის მონასტერში თავშეფარებულ აფხაზეთიდან დევნილ ბერებს ჩაუტანეს.

დღეს „ფონდი – ამიერკავკასიის ქალთა დიალოგის საქართველოს კომიტეტი" დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ამიერკავკასიასა და მსოფლიოში. მისი თავმჯდომარე მარინა ვაჩნაძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩრდილო კავკასიის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, კონფლიქტების საკითხზე აზერბაიჯანელ, სომეხ, ქართველ სტუდენტთა და ასპირანტთა ყოველწლიური საზაფხულო კონფერენციების მოწყობას, კავშირების განმტკიცებას საქართველოს პრობლემებით დაინტერესებულ აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციებთან – „საქართველოს ამერიკელი მეგობრები", „აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო", „საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების კონფერენცია".

...საქართველოს პრეზიდენტთან შესვლა არც ისე ადვილია, მითუმეტეს, მისი დაბადების დღეს.

მაგრამ ამჯერად ადვილი შეიქნა, რადგან თავად პრეზიდენტმა ინება მათი ნახვა.

წელს, 25 იანვარს, თავის დაბადების დღეს, სამუშაო კაბინეტში ბატონმა ედუარდმა მადლობის სათქმელად ის რჩეული მანდილოსნები მიიწვია, რომლებიც ამიერკავკასიასა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, დემოკრატიული საზოგადოების აშენებისა და ქალთა როლის გაძლიერებისათვის, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისათვის, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისათვის, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დახმარებისათვის იღწვიან.

საქართველოს პრეზიდენტმა არასამთავრობო ფონდის დამფუძნებლებს გაწეული მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა და ახალი წარმატებები უსურვა.

საქართველოს პრეზიდენტის მადლობა დიდი პატივია.

**ლია კაკაბაძე**

# სულის ძალა



ჩვენი ჟურნალის მეშვეობით გვინდა ერთი სათნო, ლამაზი, ნიჭიერი და ოპტიმისტი ახალგაზრდა ქალბატონი ნათელა ხარაიშვილი გაგაცნოთ, რომელიც საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში ცხოვრობს.

ტრაგიკულმა შემთხვევამ იგი სრულიად ახალგაზრდა მიაჯაჭვა საწოლს. ბევრი ალბათ უიმედობას მიეცემოდა, ნათელა კი ნებისყოფის დამაბვით შეუდგა თავისი არც თუ იოლი ცხოვრების „ჯვრის ტვირთვას". ქალიშვილმა წერილი გაუგზავნა ილ. ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტს და დახმარება სთხოვა გერმანული ენის შესწავლაში. ეს თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტის ერთ-ერთმა პედაგოგმა და დაიწყო ენის სწავლების რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც საფოსტო მიმოწერით ხორციელდებოდა. შრომითა და მონდომებით განვლილმა წლებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. დღეს ნათელა ხარაიშვილი ორიგინალში კითხულობს გოეთეს, ჰაინეს და სხვა გამოჩენილ გერმანელ მწერლებს. ნათელამ გერმანული ენა ასწავლა მის თანასოფლელ ქალიშვილებს, რომლებიც დღეს უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტები არიან. სიკეთე სიკეთეს ჰბადებს.

ნათელა ხარაიშვილი პოეზიამ გაიტაცა. მან თავის პედაგოგს გამოუგზავნა გერმანელი პოეტების თავისეული თარგმანები და საკუთარი ლექსები.

ქალბატონმა ზანდა ქუთათელაძემ ეს თარგმანები და ლექსები რედაქციაში მოიტანა. „საქართველოს ქალი" ნებისყოფის სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, შემოქმედებაში შვების პოვნას უსურვებს ნათელას და გთავაზობთ მის მიერ თარგმნილ გოეთეს ლექსს და ამ ლექსით შთაგონებულ ნათელას საკუთარ ლექსსაც.

**გოეთე**

### მინდვრის ვარდი

ერთხელ ბიჭმა პაწაწინა, საუცხოო ვარდი ნახა,
ვარდი მინდვრის ბინადარი.
მის მშვენიერ სილამაზეს ირგვლივ არე გაენათა,
მიირბინა ახლოს, რათა უფრო კარგად დაენახა,
ვარდი, ვარდი მზის სადარი.
რა იხილა, გაეხარდა,
ვარდი მინდვრის ბინადარი.

ბიჭი ეტყვის – „მოგწყვეტ, ვარდო,
ვარდო, მინდვრის ბინადარო",
„მე კი გიჩხვლეტ, არ ხარ სანდო,
რომ შენც ჩემებრ დაიჩაგრო."
ბიჭი დარდით აღარ არი,
ვარდი, ვარდი მზის სადარი,
ვარდი მინდვრის ბინადარი.

და მოწყვიტა ბიჭმა ვარდი,
ვარდი მინდვრის ბინადარი.
მან ხელები დაუსერა,
ბიჭს ტირილმაც ვერ უშველა,
საქმე უყო მის სადარი,
ვარდი, ვარდი მზის სადარი,
ვარდი მინდვრის ბინადარი.

**ნათელა ხარაიშვილი**

***

რად მოწყვიტე, ბიჭო, ვარდი,
გულს რად ჩამიგუბე დარდი,
მე გეტრფოდი ნეტარებით,
შენ კი, თურმე არც გიყვარდი.
სიხარული ხომ იგრძენი,
ჰოდა, მეტი რა გინდოდა,
დაგენებებინა თავი,
მან ხომ შენთან არ ინდომა.
შემოგჩივლა, ნუ მომწყვეტო
და წინდაწინ გაგაფრთხილა,
მანაც კი გიმაგიერა,
ცხარე ცრემლით აგატირა.
დაგინახეთ გაბუტულნი,
მწუხარებით ფეხზე დავდნი,
მე ორივე მენანებით,
შენ და ვარდი, შენ და ვარდი.

# როგორც ღვთის წყალობა

ერთი კვირაა მცხეთიდან დავბრუნდი და არ მცილდება სულის ნათელი, რაც იქიდან ჩამომყვა. ვფიქრობ, ეს გრძნობა ყველას დაეუფლა, ვინც იმ დღეს მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ სასწავლო ცენტრს ესტუმრა.

მთავარი არ არის, რომ ცენტრი მთის ძირში, ასწლოვან ულამაზეს ხეებს შორის თეთრად ქათქათებს და შესვლამდე გაყვარებს თავს, არც ის, რომ შიგ სკოლისთვის უჩვეულო სისუფთავე და სიმყუდროვეა. მთავარი ის სულია, ის სიყვარული და სათნოება ამ გიმნაზიაში რომ სუფევს.

მასწავლებელს მოსწავლე უყვარს, მოსწავლეს – მასწავლებელი! ყველას ერთად კი თავისი გიმნაზია, რომელიც ისეა ჩაფიქრებული, რომ მისი კურსდამთავრებულები იქნებიან ჩვეულებრივი სასკოლო განათლების მქონე... ქრისტიანები. დიახ, ეს აუცილებელი პირობაა.

სხვაგვარად რომ ვთქვა, აქ ქართველი ბავშვი, სამწუხაროდ, ხშირად ათეისტურად აღზრდილი, თავის ბუნებით ფესვებს – ქრისტიანობის წიაღს უბრუნდება. ეს სასულიერო სემინარია არ გახლავთ, რომელიც რელიგიის მსახურთ ამზადებს. ჩვეულებრივ სასწავლო პროგრამას აქ ემატება საღმრთო რჯული, რომელიც პირველივე კლასიდან ისწავლება, ძირითადად იაკობ გოგებაშვილის მიერ გადამუშავებული და პატარებისთვის იოლად შესათვისებელი. საგნის სწავლების პროგრამას საპატრიარქოს უთანხმებენ.

მომავალში აქ განხორციელდება სამსაფეხურიანი 12 წლიანი სწავლება, იმუშავებს პროგიმნაზია და გიმნაზია. ახლა სკოლაში პირველი, მეორე და მესამე კლასელი 36 ბავშვი სწავლობს. თითოეულ კლასში – 12. ეს პრინციპულია და მისაღები კონკურსიც წყდება, როცა მოსწავლეთა რაოდენობა თითო კლასში 12 გახდება. მიღებისას შეღავათი ვრცელდება მხოლოდ ობოლ ბავშვებზე.

სწავლება უფასოა, რადგან გიმნაზია ბიუჯეტიდან ფინანსდება. მართალია, თვეში 200 ლარი ბევრი არ არის, მაგრამ უანგარო და გიმნაზიაზე თავგამოდებით შეყვარებული პედაგოგების ხელში (სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებული სხვადასხვაგვარ დახმარებასთან ერთად) ამ თანხითაც გადიან ფონს. თან ისე, რომ გაკვეთილების შემდეგ სადილს ყველა ბავშვი უფასოდ მიირთმევს.

მშობელს არც სწავლის პროცესში უხდება ჩარევა, რადგან გაკვეთილზე მიღებულ დავალებას ბავშვები იქვე ასრულებენ მასწავლებლების ზედამხედველობით, არც ბავშვის სადილზე ზრუნვა (თანაც ტრაპეზის დროს პატარები ეუფლებიან სუფრასთან ჯდომის კულტურას, თავაზიანობას).

– ამ სკოლას ჩვენ როგორც ღვთის წყალობას, ისე აღვიქვამთ, – გვითხრა მცხეთელმა ქალბატონმა, რომლის ორი ბიჭი გიმნაზიაში სწავლობს, – წარმოიდგინეთ ამ გასაჭირსა და ზნეობის დაცემის პერიოდში, რამდენი რამისგან ვართ დაცული.

არაჩვეულებრივი მასწავლებლები, აქვე სამლოცველო, რწმენაში შესული ჩვენი პატარები სადილს არ შეჭამენ, ვიდრე ლოცვას არ იტყვიან, მარხულობენ. ეს კი იმის ნიშანია, რომ მათგან კარგი ადამიანები აღიზრდებიან, ცუდს არასოდეს ჩაიდენენ, განა ეს ცოტაა?

ცოტა კი არა და! ჩვენი ყველა სკოლა იმის გარანტი რომ იყოს, მისი კურსდამთავრებული ბოროტებას არ ჩაიდენს, კაცს არ მოკლავს, არ იქურდებს, არ იცრუებს... ანუ ათივე მცნებას დაიცავს, წარმოიდგინეთ, რა ფუფუნება იქნება საზოგადოებისათვის!

მცხეთის გიმნაზია ღვთის შეწევნით ამას აღასრულებს. ეს პედაგოგთა ყველაზე დიდი ოცნებაა.

თუმცა შედეგებზე ჯერ საუბარი ნაადრევია, მაგრამ დაკვირვებული მასწავლებლის თვალს ასეთი დეტალიც არ გამოპარვია:

– წარმოიდგინეთ, – გვითხრა მშვენიერმა ახალგაზრდა პედაგოგმა ქალბატონმა ნათია ჩარგაზიამ, – ჩვენი მესამეკლასელები ბევრად უფრო მიმტევებლები არიან, ვიდრე ახალმოსულები. თუ ვინმეს წაეჩხუბება, მაშინვე მოინანიებს და მოჩხუბარს მიუტევებს. თუ რაიმეს ჩაიდენს, აუცილებლად იტყვის და შენდობას ითხოვს.

ის ხომ ნიშნავს, რომ პედაგოგთა მცდელობას და ღვთის სიტყვას თავის შედეგი გამოუღია, სიკეთის ნერგს უხარია.

როცა ქალთა საბჭოს წევრები გიმნაზიას ვესტუმრეთ, ბავშვები გაკვეთილზე იყვნენ. მათთან შეხვედრამდე და საჩუქრების გადაცემამდე ყველას გულმა სამლოცველოსკენ გაგვიწია, რომელიც ამ შენობის მშვენებას და სიწმინდეს წარმოადგენს.

ხატმწერ ირაკლი ცინცაძეს – პეტრე-პავლეს ტაძრის მომხატველს, არაჩვეულებრივად მოუხატავს სამლოცველოს კედლები და ჭერი, დომინირებს 12 მოციქულის თემა.

ამ პატარა სამლოცველოს სიჩუმეში ხატების წინ სათნოებით ივსები, მხოლოდ სიკეთესთან ზიარება გწადია და მადლიერების გრძნობა გიჩნდება მის მიმართ, ვისაც ამ მართლმადიდებლური სასწავლო ცენტრის იდეა გაუჩნდა და მისი რეალიზაცია შესძლო – ამ შემთხვევაში ბატონ შალვა ობგაიძისა და მისი მეუღლის მიმართ. მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორმა, ვფიქრობ, ამ საქმით ჭეშმარიტად ნათელი კვალი დატოვა ამ მხარეში, იმის მიუხედავად, თუ სად იმოღვაწევებს იგი მომავალში.

ზარის წკრიალმა გაკვეთილის დასრულება გვამცნო და ფორმიანი პატარებიც გამოიშალნენ ჰოლში.

– თურქულ ჭრელა-ჭრულას ისევ ასეთი ფორმები ვამჯობინეთ, – ჩამჩურჩულა ნათია ჩარგაზიამ. – გოგონებს ეს თეთრი საყელო სამლოცველოში შესვლისას თავსაფრად ადგებათ, პატარებს შეიძლება თავსაფარი არც გაახსენდეთ, ამ საყელოებს სპეციალური შესაბნევები აქვთ, რითაც გაუწვალებლად იქცევიან თავსაფრებად. ბიჭუნებს მუქი პიჯაკები და თეთრი პერანგები ეცვათ.

ბავშვები მასწავლებელს შემოეხვივნენ და სტუმრებისათვის ვიგალობებთო, – ითხოვეს.

მუსიკის მასწავლებელი ინსტრუმენტს მიუჯდა და ჰოლი პატარების გალობამ აავსო. „გიხაროდენ“, „ალილოს“ ღვთაებრივი ჰანგი ლივლივებდა ჰაერში და სათნოებით გავსებდა.

პატარებმა მადლობით მიიღეს მანონი ხაჩიძის, ზინაიდა კვაჭაძის, ნინო ჯავახიშვილის, მარინე ხარატიშვილის, ნანა ხაზარაძის, ნელი ოქროპირიძის და სხვათა მიერ ჩატანილი ტკბილეული, ჭურჭელი, წიგნები და რვეულები. ყურადღებით უცქერდნენ და სწავლობდნენ, როგორ იქცეოდა ნელი ოქროპირიძის ხელში ფერადი ქაღალდები პეპლებად, გვირილებად, წიგნის სანიშნეებად...

გიმნაზიის პედაგოგებმა მადლობით მოიხსენიეს თენგიზ გაზდელიანი, ვლადიმერ პატეიშვილი, ელგუჯა მელაძე, დავით აბაშიძე, ფრიდონ ინჯია, მანანა კობახიძე – ადამიანები, ვინც ამაგი დასდო მართლმადიდებლურ სასწავლო ცენტრს, აგრეთვე სამთავროს დედათა მონასტრის მონაზვნები, რომლებიც ბავშვებს ხელსაქმეს ასწავლიან და ყველა საუფლო დღესასწაულზე ეკლესიაში მიჰყავთ.

ახლა ცენტრს დახმარება უნდა გვერდით მდგარი შენობის შეძენასა და მის კეთილმოწყობაში, რადგან მომავალ წლებში მოსულ მოსწავლეებს (სწავლა ხომ 12 წლიანია) არსებული შენობა საკლასო ოთახებად არ ეყოფათ.

ამ საქმეში მათ და ჩვენც ღმერთის და კეთილი ადამიანების იმედი გვაქვს.

იმედი ნუმც მოგვშლოდეს!

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამებიაზმა შემოგვიტია



*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ გეგეშიძე, მრავალი წლის პრაქტიკული დაკვირვებებისა და გამოცდილების შედეგად, ჩვენთვის საინტერესო და საჭირო კითხვებზე გვიპასუხებს:*

**– რამ გამოიწვია ინფექციურ დაავადებათა აფეთქება, სოციალურ მდგომარეობას ხომ არ უკავშირებთ მათ ასე გახშირებას?**

– საერთოდ, ყველა ინფექციური დაავადება სოციალური დაავადებაა, ზოგიერთის გამოკლებით. დღეს ყველაზე დიდი პრობლემაა ვირუსული ჰეპატიტები, რომელიც დამღუპველად მოქმედებს ერის გენოფონდზე და პირდაპირ კავშირშია ნარკომანიასთან. ჰეპატიტებთან ბრძოლა ნარკომანიასთან ბრძოლას ნიშნავს და – პირიქით. ამ ბოლო დროს იმატა ამებიაზმა, რაც გამოწვეულია ირგვლივ გამეფებული საშინელი ანტისანიტარიითაა და წყალმომარაგების სისტემის უვარგისობით. საჭიროა პირადი ჰიგიენის დაცვა და მის წინააღმდეგ კომპლექსური ბრძოლა. ამებიაზი განსაკუთრებით ვლინდება ზაფხულის ცხელ დღეებში. შარშან ინფიცირებულთა ათ პროცენტს აშკარად გამოუვლინდა დაავადება ყველა მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, დანარჩენებში კი ფარულად მიმდინარეობდა. ამ დაავადების გავრცელების ნოყიერი ნიადაგი ფეკალურ-ორალური მასაა. ინფიცირების წყარო ბოსტნეული და ხილია. ამებიაზის მიკრობი უმეტესად ნოტიო გარემოს ეტანება, ამიტომ საკვები პროდუქტები უნდა გაირეცხოს საგულდაგულოდ. მისასალმებელია, რომ ჩვენს კლინიკაში მოხვედრილი ყველა ავადმყოფი საბოლოოდ განიკურნა, აბცესები შემცირდა და მაინც აყვანილ იქნენ დისპანსერულ აღრიცხვაზე.

**– მაინც რა სახით უნდა მივიღოთ სასმელი წყალი, მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა მისი გადადუღება?**

– როცა ინფექციის მწვავე გამოვლინებაა, რა თქმა უნდა, წყალი გადადუღებული უნდა მოვიხმაროთ. წყლის ვარგისიანობაზე სინჯები წყლის სათავეში კი არა, ოჯახებიდან უნდა ავიღოთ, რადგან ძველისძველი მილები ყოველგვარი ბაქტერიის გავრცელების წყაროა. ზამთრის კლიმატი ამ შემთხვევაში მოსახლეობის სასარგებლოდ მოქმედებს.

**– კონკრეტულად რა უნდა ვიცოდეთ ამებიაზზე და სხვა ინფექციურ დაავადებებზე?**

– მუცლის არეში დისკომფორტის დროს ყოვლად დაუშვებელია თვითმკურნალობა, რათა ამება არ მოხვდეს ღვიძლში და პროცესი არ გამწვავდეს. ყველა ინფექციური დაავადების შემთხვევაში, ფეკალურ მასაში ვიზუალურად შეინიშნება ლორწო და სისხლი. დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, დანგრეულია ადამიანის იმუნური სისტემა, რასაც ხელს უწყობს ნახშირწყლებით მდიდარი და ცილებით ნაკლები საკვების მიღება. გამოჩნდა ჯილეხი (ციმბირის წყლული), მალარია, დიზენტერია, ბოტულიზმი, გადავრჩით ქოლერისაგან, რომელიც სომხეთში გამოვლინდა.

საკვები, რომელიც თერმულად ვერ მუშავდება, საშიშია. ამიტომ ოჯახის პირობებში დამზადებული ყველა კონსერვი და კომპოტი მოხმარებისას უნდა გადადუღდეს, თუმცა ყოველთვის არც ეს იძლევა სრულ გარანტიას. განსაკუთრებით, ბოტულიზმის ჩხირის მატარებელია შებოლილი თევზი.

**– ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, პირდაპირ შემზარავია ქუჩებში გამოსული ამდენი ადამიანი, ამ დაბინძურებულ გარემოში მორბენალი, ოჯახურ პირობებში, თვითნებურად, ყოველგვარი სანჰიგიენური წესების დაუცველად დამზადებული საკვებით ხელში.**

– ყოველივე ამას შეიძლება თამამად ეწოდოს ერის გენოციდი. სხვა სიტყვა არ შეესაბამება, მართლაცდა, შესაბრალის ამ ადამიანებს, მაგრამ რა ქნას მომხმარებელმა, საკვების ასეთ პირობებში დამზადება ყოვლად დაუშვებელია. კანონმა უნდა იმოქმედოს. სავალალოა, რომ ჩვენმა დედაქალაქმა დაკარგა თავისი იერსახე: საჭმლით მოვაჭრე ადამიანები ქუჩებში დაეხეტებიან, არავინაა მათი განმკითხავი, ვინ იცის რომელი ბაცილის მატარებლები არიან, ამ საკითხს დროული მოვლა ესაჭიროება. მოვიგონოთ ის დრო, როცა საზკვების დაწესებულებებში მომუშავენი წელიწადში რამდენჯერმე სანიტარულ შემოწმებას იტარებდნენ.

**– როგორც ექიმი ინფექციონისტი, რას ურჩევთ ჩვენს მკითხველებს?**

– მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ბევრად იოლი და იაფია თავიდან ავიცილოთ ავადმყოფობა, ვიდრე მკურნალობა. აუცილებელია სიფრთხილე, ჰიგიენის წესების დაცვა.

**– ქ-ნო თამარ, თქვენ ხომ ჩვენი კოლეგის ქალიშვილი ხართ?**

– დიახ, მიხარია, რომ მედეა გეგეშიძის ქალიშვილი ვარ, ბევრ რამეში მას ვბაძავ! რადგან დედა ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო და მისაბაძი პიროვნებაა.

**ნანული ბუკია**

# ტუჩებზე გამოგაყარა?..

რა ხანია ემზადებოდი ქორწილში ან პაემანზე წასასვლელად და აი, საშინელება. სწორედ დღეს ტუჩებზე გამოგაყარა, როგორც გგონია გაცივებისგან.

საღამო ჩაგშხამდა. ეს სიტუაცია ნაცნობია მოსახლეობის 25 პროცენტისათვის, ვინც რეგულარულად „ცივდება“ და ტუჩებზე გამონაყარი უჩნდება. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ეს მსუბუქი კი არა, სერიოზული ავადმყოფობაა, რომელსაც იწვევს ჰერპესის ვირუსი. ჩვეულებრივ იგი ნერვების კვანძებში თვლემს და ერთ საშინელ მომენტში, რაღაც გარემოებათა გამო, – ეს შეიძლება იყოს სტრესი, გრიპი, მცხუნვარე მზე, ემოციური აშლილობა, მენსტრუაცია, ვირუსი, აქტიურდება და ნერვებს მოჰყვება სახის კანისაკენ თქვენი ცხოვრების მოსაწამლად.

პლანეტის 90 პროცენტი ამ ვირუსს ატარებს. ესე იგი 10-დან 9 კაცს აქვს ნებისმიერ მომენტში დაავადების შანსი.

**როგორ მოვიქცეთ?**

თქვენთვის ორი ინფორმაცია გვაქვს – ცუდი და კარგი. ცუდი ის არის, რომ ამ „გაცივების“ სამკურნალო წამლები ეფექტური მხოლოდ საწყის სტადიაშია, მაშინ როცა ოდნავ ბწკენას გრძნობთ. თუ ამ მომენტს ვერ დაიჭერთ – ეს საშუალებანი არარაფრის მაქნისი არიან.

კარგი (და არა მარტო კარგი, შესანიშნავი სიახლე) აფთიაქებში გამოჩნდა ახალი თაობის ანტივირუსული პრეპარატი – ვექტავირი. მისი მთავარი კომპონენტი – პენციკლოვირი – ვირუსის გამრავლებას ამუხრუჭებს.

ვექტავირი – დაავადების ყველა ეტაპზე ეფექტურია.

ვექტავირი – ტკივილს შესამჩნევად ამცირებს.

ვექტავირი იმ დროს ამცირებს, როცა თქვენ სხვისთვის საშიში ხართ.

ვექტავირი გაქვთ? – დაგეგმეთ შაბათ საღამო ისე, როგორც გაგეხარდებათ.

# ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული

გემოვნებაზე არ დავობენო, ამბობენ. კამათს არც ჩვენ ვაპირებთ. ერთს გეტყვით მხოლოდ, როგორც ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, ჩაცმულობის მიხედვით ადამიანის ხასიათის გამოცნობა შეიძლება. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: მაჩვენე შენი გარდერობი და გეტყვი, ვინა ხარ შენ. ეს ხუმრობით...

ახლა კი ყოველგვარი ხუმრობის გარეშე...

თბილისში ჩატარდა ახალგაზრდული მოდების ფესტივალი, სადაც წინასწარი შერჩევის შედეგად წარმოდგენილი იყო ჩვენთვის უცნობი მოდელიერების ნამუშევრები.

ოთხი დღის განმავლობაში ეს იყო ერთ-ერთი განათებული წერტილი ჩაბნელებულ თბილისში და ღრუბლებში მზის სხივის გამოჭიატებას შეიძლება შევადაროთ. ნაირფრად აელვარებული, თანამედროვე რიტმული მელოდიებით სავსე დარბაზი ფესტივალზე დასწრების მსურველებს ვერ იტევდა. არც არის გასაკვირი. ინტერესს წარმოდგენილი მოდელების გარდა, ლამაზი, გრძელფეხება მანეკენებიც აღვივებდნენ, ჰაეროვნად რომ დააბიჯებდნენ პოდიუმზე. ისინი მოხდენილად ირგებდნენ და წარმოგვიდგენდნენ ავანგარდულ და კლასიკურ, თეატრალიზებულ თუ თავისუფალ თემებზე შექმნილ კოსტიუმებს.

ერთმანეთს ენაცვლებოდა უზადო გემოვნება, დახვეწილი სტილი, არაჩვეულებრივი ფანტაზია, თვალისმომჭრელი ელვარება, ბევრისთვის გაუგებარი ავანგარდი, მიუწვდომელი კლასიკა და, რა თქმა უნდა, თავისუფალი აზროვნება და ახალგაზრდული სული.

თითოეული მოდელი ორიგინალური და ინდივიდუალური იყო. დიზაინერებს ყოველი მოსართავი დეტალის მოპოვება, შეიძლება ითქვას, ნერვების ფასად დაუჯდათ. ქართული მოდა ყოველგვარი სახელოსნოების, სადემონსტრაციო დარბაზების და დამხმარე საამქროების გარეშე იქმნება, ყალიბდება და ვითარდება.

ფესტივალზე გამოიკვეთა ახალი სახელები: თამთა ჭოველიძე, ქეთი ბახტაძე, ანა აბელაშვილი. მათი შრომა სხვადასხვა პრიზით აღინიშნა. გამოითქვა მრავალი დაპირებაც, რაც ჯერჯერობით სიტყვებად დარჩა და, იმედია, მომავალში საქმედ იქცევა და სასიკეთოდ წაადგება ქართული მოდის შემდგომ განვითარებას. გვინდა წარმოგიდგინოთ ისინიც, ვინც მრავალდღიანი ძალისხმევის, დიდი მონდომებისა და ენთუზიაზმის შედეგად, შეძლეს მართლაც ლამაზი დღესასწაულის მოწყობა: ფესტივალის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები მამუკა კიკალიშვილი და გიორგი ბერაძე, გენერალური დირექტორი ნინო ახვლედიანი, რეჟისორი ოლიკო რუხაძე, მთავარი დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე. მათ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ახალგაზრდა ქართველმა დიზაინერებმა შეძლეს დღის სინათლეზე გამოეტანათ და ქართველი მოდის მოყვარულების წინაშე წარმოედგინათ რუდუნებით შექმნილი კოსტუმები.

ფესტივალმა მოდელიერებს დაკარგული რწმენა დაუბრუნა და იმედი ჩაუსახა, რომ ადრე თუ გვიან „ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული“.

მარინე ნაკაიძე





ეროვნული
ბიბლიოთეკა









ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ კეკელიძე

# მეძავი



„ან ხეც კარგად სცანით და მისი ნაყოფიც;
ან ხეც ცუდად სცანით და მისი ნაყოფიც;
ვინაიდან ხე ნაყოფით შეიცნობა“.

მათეს სახარება

– ქეთის სთხოვეთ.

– ქეთი ვარ, – გაისმა ქალის ნამძინარევი ხმა.

– გამარჯობა ქეთი. მე „საჩინოდან“ გირეკავ, გივი ვარ.

– ხო გივი, გისმენ.

– ქეთი, ორი თურქია მოსული, ქალები უნდათ.

– გივი მარტო ვარ, ცოტა ადრე ვერ დარეკე?

– აბა რა ვიცი, ეხლა მოვიდნენ.

– რას იხდიან?

გივიმ ყურმილი გადადო და ერთ თურქს დაუძახა. ქეთევანს ცუდად ესმოდა მათი საუბარი, მაგრამ ყური მაინც მოკრა: ...„იახში ხანუმ“ – უხსნიდა მებუფეტე.

– თითო ქალს ოცდაათ ლარს უხდიან.

– მარტო ვარ მეთქი, თუ აწყობთ მოვალ, თუ არადა კარგად იყვნენ.

გივიმ ისევ გადადო ყურმილი და გაჭირვებით გააგებინა, რომ ერთი ქალი იყო:

– კარგი, დათანხმდნენ, სამოც ლარს გადაიხდიან. მოხვალ?

– ერთ საათში მანდ ვიქნები, – დაკიდა ყურმილი ქეთევანმა,

რესტორანი „საჩინო“ თბილისის გულში, გორგასალის ქუჩის დასაწყისში, დიდ სარდაფში მოეთავსებინათ. საცხოვრებელი სახლის კუთხეში ამოჭრილი რესტორნის კარი, ვირთხის სოროში შესასვლელს მოაგაგონებდათ. მარმარილოს კიბესა და გვირაბს დიდ სარდაფში ჩაჰყავდით, რომელიც ასევე ძვირფასი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. კედლები მორთული იყო ძველი თბილისის პეიზაჟებით, არლანზე მოქეიფე ყარაჩოხელებითა, თუ ქართული სუფრის ნატურმორტებით. დარბაზის მარჯვენა კუთხეში პატარა სცენა მოეწყოთ, რომელზეც მედუდუკეები ისხდნენ, მარცხენა კუთხეში ბუფეტი იყო განლაგებული. დახლის, ხეში ჩასმული, წინა კედელი დახუნძლული იყო ვაზის ჩუქურთმებით, ხოლო უკან, თაროებზე ათასნაირი განსხვავებული სასმისი მიმოეფანტათ.

ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში მხოლოდ ორი მაგიდა იყო დაკავებული. ერთზე ბახუსისგან გამობჟუტურებული ოთხი ქართველი ერთმანეთს ძმობას ეფიცებოდა, ფეხზე დამდგარ თამადას, რომელიც სლოკინ-სლოკინით დაშლა არ მოშლის სადღეგრძელოს ამბობდა, არავინ აღარ უსმენდა. მეორეზე თურქები ისხდნენ. მუსიკოსებთან ახლოს მჯდომი ისეთი გამხდარი იყო, გეგონებოდა ჯოჯოხეთიდან შესვენებაზეა გამოსული, გრძელ სახეზე უადგილოდ ამოსულ კეხიან ცხვირს დიდ ულვაშებში ჩაეყო თავი, წვრილ თვალებს დიდრონი წარბები ფარდასავით ეფარებოდა, შუბლზე უწესოდ ჩამოყრილ ქოჩორს წამდაუწუმ თავის ქნევით ისწორებდა. მისი მეგობარი რადიკალურად განსხვავდებოდა – ლოტოს კოჭს დამსგავსებული, კანში ველარ ეტეოდა, ბურთივით მრგვალ სახეზე ორ პატარა თვალისმაგვარ წერტილს შორის ბადრიჯანივით ცხვირი ედო. ქონისგან გაზინტლული შუბლი სინათლის სხივებს სარკესავით ირეკლავდა. უგემოვნო ჭრელი პერანგის სახელოებიდან გამოყოფილი ბანჯგვლიანი ხელები წინ გაეშვირა და კოტიტა, მსუქან თითებს მაგიდაზე ისე ათამაშებდა, გეგონებოდა, როიალზე უკრავსო. სუფრაზე ცხვრის მწვადი, ვაზაში ჩაწყობილი ხილი და ერთი ბოთლი შამპანური ედოთ. ზურნა-დუდუკი თბილისურ, ძველ მელოდიას გოჭივით აჭყვიტინებდა.

დარბაზის ზღურბლზე ქეთევანის სილუეტი გამოჩნდა. გრძელი, ბარძაყებამდე მრავალ ადგილას ჩაჭრილი, ტანზე შემოტკეცილი ნაქსოვი კაბა ქალის ასხლეტილ სხეულს თვალისმომჭრელს ხდიდა. დიდი დეკოლტედან ქათქათა თეთრი ძუძუები გამომწვევად თახთახებდა. გრძელი, შავი თმა კეფაზე შეეგროვებინა. სახის ნატიფი ნაკვთები მედიდურობას მატებდა. ორმა წაბლისფერმა, ლამაზმა თვალმა დარბაზი შეათვალიერა და საქმიანი ნაბიჯით დახლისკენ აუჩქარებლად გასწია. მაღალ ქუსლებზე შემდგარი სწორი, გრძელი ფეხები შველისებურ მოძრაობას იმეორებდა. სიჩუმე ჩამოვარდა, ზურნა-დუდუკმაც შეწყვიტა დაკვრა. დარბაზში შეკრებილი კაცები ქეთევანს მშიერი თვალებით ხდიდნენ.

ფეხზე დამდგარ თამადას დაავიწყდა სადღეგრძელო, თვალებგადმოკარკლული ქალის სილამაზით ტკბებოდა:

– ყველა ლამაზ ქალს გაუმარჯოს! – მოიყუდა ღვინით სავსე ფიალა.

– შენ შემოგევლე, რა დედამ გშობა? – სუფრის წევრებმაც მხარი აუბეს თამადას.

კმაყოფილი თურქები ეშმაკურად იღიმებოდნენ და შამპანურით სავსე ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებდნენ.

მებუფეტე ქეთევანს შეეგება და მაგიდისკენ გაუძღვა. ქალის მიახლოებისას სახედაღმეჭილი, გამხდარი თურქი სკამიდან წამოხტა და ოდნავ წელში მოხრილი მიესალმა:

– სალამ მალეიქუმ ხანუმ.

– გამარჯობათ, – პროფესიონალური ღიმილით წარმოთქვა ქალმა და უნებურად გაიფიქრა: „რას ჰგვანან ეს უპატრონოებიო“.

– იბრაჰიმი, – გაუშვირა მარჯვენა ხელი გამხდარმა, რომელიც ზომაზე მეტად აქტიურობდა.

– ქეთი, – არ დაარღვია ეტიკეტი დედაკაცმა და თავისი პატარა, კოხტა ხელი ჩამოართვა.

– აბუ-მუჰამედი, – ოდნავ წამოდგა ჭარბი წონისგან შეწუხებული თურქი.

ქეთევანი მაგიდას მიუჯდა. მასპინძლებმა გივის მწვადის გამეორება და ორი ბოთლი შამპანური მოსთხოვეს. სასმელმა თავისი გააკეთა, სამივე ბახუსის ტყვეობაში გაება. ბოთლს ბოთლი მოჰყვა. ქალი თურქების უნიჭო ხუმრობებზე, ისე კისკისებდა, თითქოს სიხარულისგან მეცხრე ცაზე იმყოფებოდა. ბოლოს აბუ-მუჰამედმა მებუფეტეს თითის დაქნევით დაუძახა, ანგარიში გაუსწორა და სამივენი სიცილ-ხარხარით რესტორნიდან გავიდნენ.

მაისის დილა თენდებოდა. სავსე მთვარე ვარსკვლავებით მოკირწყლულ ცას მიჯნურივით ეამბორებოდა. გაზაფხულის სურნელი ყველა სულიერს ესიყვარულებოდა.

მანქანსთან მივიდნენ. საჭესთან იბრაჰიმი დაჯდა, ქეთევანი გვერდით მოისვა. აბუ-მუჰამედი ხვნეშა-ხვნეშით ძლივს მოთავსდა უკანა სავარძელზე. მანქანა ნელი სვლით მეტეხის აღმართს აუყვა. ქალმა ჩანთაში სიგარეტის ძებნა დაიწყო, მოუკიდა და დამშეულივით დიდი ნაფაზი დაარტყა. თავი რომ ასწია, განცვიფრდა, მანქანა მეტეხის წინ, ვახტანგ გორგასლის ძეგლთან ხასხასა მწვანე მოლზე იდგა. ძლიერმა ფარებმა ეკლესიის კონტურები ღამეს გამოგლიჯა, უკრავდა თურქული მუსიკა. იბრაჰიმმა შამპანური გახსნა და ჭიქა ქეთევანს გადააწოდა.

დედაკაცმა უსიტყვოდ დალია. ამ დროს იგრძნო უკნიდან მის მკერდში როგორ ჩაცურდა ორი ქონიანი მსუქანი ხელი, რომლებიც ძუძუებს ცომივით ზელდა. აბუ-მუჰამედმა აგზნებული ღრუტუნით ქალს უბრძანა: „გადადი, სტრიპტიზი იცეკვეო“. ოღონდაც მკერდი გაენთავისუფლებინა ბინძური ხელებისაგან, ქეთევანი უსიტყვოდ დამორჩილდა. იბრაჰიმმა მუსიკას აუწია. ქალი მანქანის წინ დადგა და თურქულ ბაიათებზე ცეკვა-ცეკვით გახდა დაიწყო. კედელზე ქეთევანის შიშველი სხეულის გადიდებული ჩრდილი დაცურავდა. სიამოვნებისაგან აღფრთოვანებული მთვრალი თურქები შეძახილებითა და ტაშის კვრით მანქანიდან გადმოვიდნენ. ცეკვავდა შიშველი ქეთევანი, მისი უზადო ტანფეხი ცვრიან მოლზე ისე დასრიალებდა, როგორც აფრებიანი ნავი წყნარ ზღვაზე.

გამხდარმა თურქმა შამპანურით სავსე ჭიქა გაუწოდა, ქალმა დალია. აბუ-მუჰამედმა ძირს დაგდებული კაბა აიღო და მანქანის კაპოტზე გადააფარა, შემდეგ ქეთევანს ხელი ჩასჭიდა და პირქვე, საკუთარ კაბაზე გადააწვინა. როგორც მწყურვალნი წყაროს, ისე დაეწაფნენ დედაკაცს. სვავებივით ჯიჯგნიდნენ და სრესდნენ ქათქათა, თეთრ სხეულს.

ხორცი სტკიოდა, სული კი სხეულის რომელიღაც კუთხეში მიყუჟულიყო და ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. თავი ასწია, გაჩახჩახებულ, ხმალმომარჯვებულ ქართლის დედას ისე შეხედა, თითქოს დახმარებას ითხოვდა. შემდეგ აცრემლებული თვალებით ბებერი ნარიყალას კედლებს ესალბუნებოდა...

ირიჟრაჟა. კმაყოფილი კაცები ტანსაცმელს ისწორებდნენ. ქეთევანმა დანგრეული და წაბილწული სხეული ძლივს ასწია, მძიმედ ჩაიცვა და უსიტყვოდ მანქანის უკანა სავარძელზე მოთავსდა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. იბრაჰიმმა ფული გაუწოდა და ღიმილით მიმართა:

– იახში ხანუმ, იახში.

მანქანა ეკლესიის ეზოდან გავიდა და ლესელიძის ქუჩას აუყვა.

– გამიჩერე! – წამოიძახა ქალმა. მანქანიდან ისე გადავიდა, არც კი დამშვიდობებია თურქებს. ჩქარი ნაბიჯით ქუჩა გააგრძელა. გრძნობდა როგორ უყარდა სხეულის ყველა ნაწილი, საკუთარი თავი ეზიზღებოდა, ერთი სული ჰქონდა ებანავა.

სახლში შესულმა ჩანთა დივანზე მიაგდო, ტანთ გაიხადა, აბაზანაში ცხელი შხაპის ქვეშ შეძვრა. საათზე მეტი გაუნძრევლად იდგა, ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა, დაფლეთილი სული ტკივილებისგან ეკლაკნებოდა.

– „დღეს ირაკლისთან უნდა ჩავიდე, თორემ აღარ შემიძლია, დავიტანჯე“ – ფიქრობდა ქეთი.

II

ქეთევან კობაიძე ლერმონტოვის ქუჩის საკმაოდ დიდი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. ათი წლის იყო მამა რომ გარდაეცვალა. დღესავით ახსოვს, ჯან-ღონით სავსე კაცი, ულმობელმა სიკვდილმა რა ადრე მოიტაცა. მამამისი, იუზა კობაიძე ქალაქში ცნობილი და დაფასებული პიროვნება გახლდათ, იგი ერთ-ერთი დიდი ქარხნის დირექტორად მუშაობდა. ქეთის დედამ ვერ გაუძლო სიმარტოვეს და ერთ წელიწადში მამამისის გზას დაადგა. პატარა გოგო დარჩა ბებიას ამარა.

ოჯახის მეგობრები და ნათესავები თავიდან აქტიურობდნენ, ეულად დარჩენილ ბავშვს ძალიან ეხმარებოდნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა პატარა ქეთი. ბებიას როგორც შეეძლო მხარში ედგა შვილიშვილს. დაამთავრებინა პედაგოგიური ინსტიტუტი და თითქოს ვალი მოიხადა, ისე გაუყვა საიქიოს გზას. ოცდახუთი წლისა სულ მარტოდ დარჩენილი, აგერ უკვე ხუთი წელია, რაც ქუჩამ შეიფარა და თავისი მძიმე დაღიც დაასვა.

პერიოდულად, როდესაც სული ასტკივდებოდა, როდესაც იგრძნობდა საშინელ სიმარტოვეს, სიონის ეკლესიაში, თავის კლასელ ირაკლისთან მიდიოდა, რომელიც მღვდელ-მსახური იყო. საათობით ტრიალებდა წმინდა ტაძარში, სანთლებს დაანთებდა, ირაკლის ემუსაიფებოდა და იქიდან ისეთი დამშვიდებული, დაწყნარებული და ამაღლებული ბრუნდებოდა, იტყოდა ხოლმე:

– „სულის აფთიაქში ვიყავიო“.

შხაპიდან გამოსულმა წამებში ჩაიცვა, თავშალი აიღო და თითქმის სირბილით ლერმონტოვის ქუჩაზე დაეშვა. რამდენიმე წუთში ეკლესიასთან გაჩნდა. იქვე მაღაზიაში ქაღალდის ფული დაახურდავა, მათხოვრებს გაუნაწილა, თავშალი გაიკეთა და ეკლესიის წინ დამდგარმა პირჯვარი რამდენჯერმე გადაიწერა.

შესასვლელი კარი ფრთხილად შეაღო და ტაძრის შუაგულში დამდგარმა ირაკლის დაუწყო ძებნა. მოძღვარი შავებში ჩაცმულ ქალს ესაუბრებოდა.

– გამარჯობა მამაო ხვთისო, – აღტაცებული ტონით წარმოთქვა ქეთიმ.

– ამას ვის ვხედავ? გაგიმარჯოს, – გადაეხვია მამაო.

– როგორა ხარ ირაკლი, რას შვრები, რა არის შენსკენ ახალი? – მიაყარა კითხვები ქეთიმ.

– ისეთი არაფერი. ხო მართლა, გილოცავ დღევანდელ დღეს! – გაუღიმა მამაო ხვთისომ.

– რა დღეა დღეს?

– დღეს? დღეს ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, – სიტყვის მნიშვნელობას ჰაერში თითით ხაზი გაუსვა ირაკლიმ.

– მეც გილოცავ. მამაო, არ მოგაცდენ, წავალ სანთლებს დავანთებ, შემდეგ ვისაუბროთ.

– კარგი, გეთაყვა.

წმინდა გიორგის ხატთან შუა ხნის, კარგად ჩაცმული მამაკაცი იდგა. მარცხენა ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, ხოლო მარჯვენათი პირჯვარს იწერდა. ქეთიმ სანთელი გადაუკიდა. უნებურად მზერა მლოცველი უცნობისკენ გაექცა. სახეზე შეხედა თუ არა, გველნაკბენივით უკან გადახტა, ანთებული სანთელი ხელიდან გაუვარდა, სახეზე გაფითრდა, თვალები გაუფართოვდა, მთელი ტანით აცახცახდა, სუნთქვა შეეკრა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ძალა მოიკრიბა და შემზარავი ხმით დაიყვირა:

– მამაო ხვთისო! მამაო ხვთისო!

ტაძარში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ იქით გაიხედა.

– რა მოხდა? ქეთი, რა მოგივიდა? – გაკვირვებული მივარდა მოძღვარი.

ქეთიმ მამაკაცისკენ აკანკალებული ხელი გაიშვირა:

– ვინ არის ეს კაცი? ირაკლი, ვინ არის ეს კაცი?

– ეს ბატონი ედიშერ მიმინოშვილია, ჩემი მრევლიდან არის, კარგი კაცია, რამდენიმე წლის წინ მე მოვნათლე, – უხსნიდა დაბნეული მოძღვარი.

– სატანა მოგინათლავს მამაო! სატანა მოგინათლავს! – ჩურჩულით იმეორებდა ქეთევანი. თავშალი მოიხადა, ედიშერთან ახლოს მიიწია, რამდენიმე წამით თვალი თვალში გაუყარა, აცახცახებულ ტუჩებში დუჟი მოიგროვა და შიგ სახეში შეაფურთხა:

– სატანავ! აქ რა გინდა?! რა ნამუსით ლოცულობ შე არაკაცო, შე ბოზო! რას დაამსგავსე ჩემი ცხოვრება! – მუხლები მოეკეცა და ირაკლი რომ არა ქვის იატაკზე დაენარცხებოდა.

ედიშერმა ცხვირსახოცი ამოიღო, სახე გაიწმინდა:

– გიჟია, ვინ არის? – ჩაილაპარაკა და ეკლესიიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ქეთევანი გონს რომ მოეგო, ეკლესიის ეზოში გრძელ სკამზე იწვა. თავთან მამაო ეჯდა და შუბლს ცივი ტილოთი უწმენდდა.

– როგორ ხარ?

– უკეთ, უკეთა ვარ. პირი მაქვს გამშრალი, წყალი დამალევინე.

ირაკლიმ წყალი მიაწოდა. ქეთი სკამზე წამოჯდა და ცივ წყალს ხარბად დაეწაფა.

– რა მოგივიდა? რა ბუზმა გიკბინა?

– ვინ არის ის კაცი? – ზიზღით იკითხა ქალმა.

– ხომ გითხარი, ედიშერ მიმინოშვილია, რომელიღაც დიდი უწყების ხელმძღვანელია – უხსნიდა მოძღვარი.

– ეგ, იცი ვინ არის? ეგ მამაჩემის მკვლელია! – სახე შეეცვალა ქეთევანს.

– როგორ? რას ამბობ კაცო?!

– როგორ და ეგ ნაძირალა მამაჩემის ქარხანაში კომკავშირის მდივანი იყო. ათი წლის ვიყავი, როცა მამამ ლიტანიობაზე წამიყვანა. ეკლესიის კიბეებთან, გულზე კომკავშირის ნიშნით და მკლავზე „რაზმელის“ წითელი სამკლაურით შეგვხვდა. მამამ გააფრთხილა: „იცოდე არსად წამოგცდეს, აქ რომ მნახეო“. იმან, იმან კი, „აქვითინდა ქეთი, – ჩაუშვა, დააბეზღა მამაჩემი. ერთი კვირის თავზე პარტიიდან გარიცხეს, ქარხნის დირექტორობიდან მოხსნეს. საცოდავმა ვერ აიტანა ამდენი შეურაცხყოფა და ინფარქტით გარდაიცვალა. იმ დღიდან დაიწყო ჩემი უბედურება. მთელი ცხოვრება ეკლესიაში შესვლის მეშინოდა, იმიტომაც მაქვს ასე არეული გზა-კვალი. თვითონ კი დგას და სანთლებს ანთებს, ლოცულობს. შენ კი, შენ კი, უმატა ტირილს, – ჩემი მრევლიაო, მე მოვნათლეო. სატანა მოგინათლავს ბიჭო! სატანა! – თავშალით იმშრალებდა ცრემლიან თვალებს.

მამაო ჩუმად იჯდა, ხელით წვერს იჩიჩქნიდა:

– ქეთი დაწყნარდი, უფალი ყველაფერს ხედავს. შენ არ გაქვს განკითხვის უფლება, ვინაიდან „რომელი განკითხვითაც განიკითხავთ და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ“.

ქეთევანი წამოდგა:

– რომ იძახი ნუ განიკითხავო, ვერ ხედავ ბოროტება როგორ ხარობს? ვერ ხედავ რას დავემსგავსეთ? ალბათ იმიტომ, – ჩაფიქრებული თვითონვე პასუხობდა საკუთარ კითხვას, – მამაო, რომ ეშმაკისეულს ვნათლავთ და წმინდა ტაძარში სალოცავად ვუშვებთ. ეხხ, – სული ამოაყოლა ოხვრას, – წავედი, წავედი ჩემო ერთადერთო და სიყრმის მეგობარო, – დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

ქეთის ხელში თავშალი ეჭირა, კიბეზე ნელ-ნელა ადიოდა, ბოლო საფეხურზე შემდგარი შემობრუნდა, ირაკლის გაუღიმა და სახლისკენ მიმავალ აღმართს თავჩაქინდრული აუყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი თარგამაძე

# ფრაგმენტები მოგონებათა სარკიდან

*ვუძღვნი 1937 წელს რეპრესირებული მამის ხსოვნას, ვინც ჩვიდმეტი წელი უდანაშაულოდ დაჰყო გადასახლებაში, შეურაცხყოფილმა და გულნატკენმა ჩამოაღწია სამშობლოში და საბედნიეროდ მის მიწას მიებარა.*

ბორჯომი, ბაღი, მშობლიური ჩემი ქალაქი,
უცხო ცა რგვალი, საოცარი დილა თუ ბინდი,
ყმაწვილ დედის და მოხუც მამის ძვალთშესალაგი,
მოგონებათა ორი სარკე – მცირე და დიდი.

ერთში ჩახედვა მახარებს და ღიმილს მგვრის ნეტარს,
მეორე სარკემ, ვიცი, ცეცხლი უნდა წამკიდოს,
და მაინც მინდა ჩავიხედო და რისთვის ნეტავ,
რად მსურს ვიხილო დარბეული ჩემი სამკვიდრო.

მამის დაჭერით დაცრემლილი დღეობა ჩემი
და საზეიმო ტკბილი სუფრა ქცეული შხამად,
აუნთებელი ტორტზე ბოლო, მერვე სანთელი,
ვითომ ცოტა ხნით გაყვანილი სუფრიდან მამა.

ლოჯში სამადლოდ გამოყრილი ჩვენი ლოგინი,
ლოჯის კუთხეში მიყუჟული გოგო პატარა,
ძირს წიგნები და ტანსაცმელი მიყრილ-მოყრილი,
ოთახის კარზე მიტყეპნილი ლუქი – „სატანა".

ავეჯის გარდა დალუქული კარების იქით,
დედის სურათი და გოგონას დიდი თოჯინა,
ფანჯრიდან იქით იპარება გოგონა ფიქრით,
კუთხეში მარტო, სევდიანი რომ ზის მორჩილად.

პატრონის ძებნით დაქანცული ეზოში ძაღლი,
კაკლის ხის ძირში ფრთებშეჭრილი ბიჭი-ცანგალა,
ტირის, უხმობს და ვერ აგონებს მამიკოს ძახილს
და მისი ცოდვით ცრემლებს ყლაპავს უცხო ცა რგვალი.
............
ღვთის ანაბარა დარჩენილი და და ძმა რვა თვე,
დედინაცვალი მათთან, როგორც ახალი მთვარე,
ცამეტნახევრის ბიჭი უფრთოდ შთენილი მართვე,
თავად მალავს და დას უმშრალებს ცრემლიან თვალებს.

მინებს ფანჯრისას მონდომებით ორთქლავს გოგონა,
ზედ თითით აწერს, მარცვალ-მარცვალ – მა-მი-კო, მა-მა,
მის მკრთალ ღაწვებზე ცრემლიც მარცვალ-მარცვალ
მოგორავს.
და გარეთ, ღამის ყველაფერი წაიღოს ქარმა,

შია პატარას, ვისაც ლუკმას აჭმევდნენ ხვეწნით,
იგონებს, როგორ იწუნებდა გემრიელ კერძებს,
თითქოს კატლეტის სუნი ეცა, მოადგა ნერწყვი
და პურის ქვაბში თბილ კატლეტებს ამაოდ ეძებს.

კარის მეზობელ ნათლიასთან გავიდა წამსვე
და გასათბობად იქვე ახლოს ღუმელთან დადგა,
ხედავს, ღუმელზე კარტოფილი დევს ტაფით სავსე,
აღელდა ბავშვი, საოცარი აღეძრა მადა.

ანაზდად ხელი წაატანა კარტოფილს ცხელ-ცხელს,
ემწვავა, მაგრამ არ დააგდო ტაფაზე უკან,
უცებ, პატარა ხელზე ისე უხეშად ფერთხეს,
დააგდებინეს წასაღები პირისკენ ლუკმა.

მოაწვა სახეს ფერი, წყენა, ცრემლები, ტკენა...
და სიამაყეშელახული აჭარხლდა ბავშვი,
ვეღარც შეხედა ნათლიამისს, ვერც დასძრა ენა,
ჩაღუნა თავი და უსიტყვოდ გავიდა სახლში.

დაემხო ტახტზე და დედიკოს მარცვლავს სლუკუნით,
ხელს უთათუნებს დედისეულ ბალიშის მაქმანს,
პატარა გულზე შემოაწვა სევდა უკუნი,
ნუგეში უნდა, ვის მიმართოს არ იცის, რა ჰქნას;

აი, შემოდის სიტყვაძუნწი ძამიკო მისი,
გაყუჩდა ბავშვი, მიიფარა ხელები თვალზე,
ბიჭის თვალებსაც აფერმკრთალებს ფარული ნისლი,
ხუთიოდ თვის წინ მზის სხივებით რომ ჰქონდა სავსე.

შეშინებული ჩამოუჯდა დაიკოს გვერდით,
მიაყურადა სუნთქვას, შუბლზეც დაადო ხელი,
მერე სათუთად მიაფარა ფუმფულა პლედი,
შვებით ამოსთქვა: გადავრჩით, არ არის ცხელი.

ამასობაში ჩაეძინა კიდეც პატარას
და შებრაწული კარტოფილი ეზმანა ძილში,
აღარ წასძლია სულმა, ხელი არ წაატანა
და სიამაყით შეებრძოლა სულწასულ შიმშილს.

...
თეფშზე უამოდ აწყობს ბიჭი პურის ნარჩენებს,
დუღს, ათუხთუხებს ორ კარტოფილს ელექტრო-ქვაბი.
გარეთ ვილაცა უტევს ჯონის და ვერ აჩერებს,
დარბის, წკმუტუნებს, ხან ყეფავს და ხან ყმუის გაბმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...გაბმითვე უსტვენს ბორჯომული ნოემბრის ქარი,
ღრიჭოებიდან ძვრება ლოჯში, სიცივით ავსებს,
რონინებს ფანჯრის თეთრი ფარდა – თხელი მაქმანი,
სცივათ უშეშოდ, ულუმელოდ დარჩენილ ბავშვებს.

ადრე წვებიან, რომ ლოგინში ჩათბუნდნენ მაინც,
ბიჭი დაიკოს თავის შეთხზულს უყვება ზღაპარს
და ალაგ-ალაგ ეხმარება თხრობაში დაიც
და ზღაპარივით თავად თხზავენ თავიანთ ამბავს.

მერე დაბრუნდა მამიკო და... ბიჭს უსწრებს ძილი,
გოგონა ზღაპარს ამთავრებს და მიჰყვება ფიქრებს,
ნეტავი მართლა მოვიდოდეს მამიკო დილით,
არ დავიძინებ, ღმერთო, მამა დაბრუნდეს იქნებ...

ქარი კვლავ სტვენით უტრიალებს ლოჯის კარ-ფანჯრებს,
ყურდება წამით, მერე ზმუის, ბრაზდება თითქოს,
კარის სახელურს ხელს ჩაავლებს და ისე ანჯღრევს,
თითქოს ვიღაცა დაჟინებით გაღებას ითხოვს.

ოთახში ბორგავს ანარეკლი კაკლის ტოტების,
ბავშვს ეჩვენება, რომ კედელზე გაწვა ურჩხული,
მაგიდის ირგვლივ, რომ დევები დააბოტებენ,
რომ... სადღაც ახლოს, ალქაჯების ისმის ჩურჩული.

ღამეულ ხილვებს ებრძვის ბავშვი, შიშით ცახცახებს,
მამის „პატარა ქალბატონი“ ალერსს ნაჩვევი,
ხან თვალებს ხუჭავს, ხან ხელებით იფარავს სახეს,
ჩურჩულებს: „ღმერთო, გამიჩინე რა... მამაჩემი...

ბავშვს ეშინია და ძამიკოს მაინც არ უხმობს,
მოიკუნტა და წაიფარა თავზე საბანი,
წევს გაუნძრევლად, იცრემლება უჩუმრად, უხმოდ
და... ღამე ხდება გასაოცრად დაუსაბამო.

XXX

ბავშვი, რომელსაც წაართვეს მამა,
ბავშვი, რომელსაც წაართვეს ბინა,
უსამართლობით რომ მოიშხამა,
მერე ვერავინ დააშოშმინა...

ბავშვს დაუდუმდა ჭიკჭიკა ენა
და ჩაუსახლდა თვალებში შიში,
გადაივიწყა ღრუბლებში ფრენა,
მაინც... ამაყად მალავდა შიმშილს.

პატარა გულში ჩამდგარი სევდა
გადმოსდიოდა ცრემლების ღვარად,
ესე ნაღველი ბავშვს ყველგან სდევდა,
რაიც სახეზე ემჩნია ღარად.

ვერ მოიშუშა იარა ძველი,
არ წაეკარა სალბუნი ახლოს,
მთელი ცხოვრება თავ-ბედს იწყევლის
ბავშვი, რომელიც ჩემს გულში სახლობს.

XXX

საკუთარ ჭერქვეშ დედ-მამასთან ვინც დაფრთიანდით
და სანატრელი გქონდათ თუნდაც ხმელი ხმიადი,
არ დაიჩივლოთ, არაფერზე არ დაგწყდეთ გული,
ვინაც მშობლების ალერსით ხართ დაპურებულნი.

XXX

ფერი დააკლდა დღეებს ჩემსას და თვალებს სხივი,
ფოთოლცვენის დროც სანატრელი მექნება მალე,
შემოდის სულში ზამთრის მოკლე დღეები ცივი,
გუშინწინ, გუშინ, დღეს და... წერტილს დამისვამს „ხვალე“.

ზოგჯერ მგონია, ნუში გუშინ ყვაოდა თითქოს,
ზოგჯერ კი... ზოგჯერ კეკლუცობდა, არც მახსოვს როდის,
და ამ ზამთრის პირს, იმ გაფრენილ დღეებზე ვფიქრობ,
იმ გაზაფხულზე, არასოდეს რომ აღარ მოდის.

იმ ფრთაშესხმული გაზაფხულის კვლავ ხილვა მინდა,
იმ აპრილის და იმ მაისის ცრემლი და კდემა,
გულით რომ დამაქვს, როგორც ლოცვა წმიდათა წმიდა.
როგორც ძვირფასი სამკაული და დიადემა.

ის უნაზესი გაზაფხული... ჩემთვის სულმნათი,
არსად, არვისგან დახატული მსგავსი სურათი.

ჰო თუ არა?!

– დრომ რომ უკან დაიხიოს
მიპასუხე ჰაიჰარად:
კვლავ რომ გავხდეთ ოცისანი,
ჰო, თუ არა?!

რომ მობრუნდეს ის დღეები
სუსხიანი თუ თაკარა,
არ დაფიქრდე, არ დაფიქრდე,
ჰო, თუ არა?!

ვცქრიალებდეთ ხვალ რომ ისევ
ჩითის კაბების ამარა,
გვირილების ფურცლებს ვთვლიდეთ,
ჰო, თუ არა?!

სიყვარული ჯიუტ გულმა
ახლოს რომ არ გაიკარა,
რომ დაბრუნდეს, რომ დაბრუნდეს,
ჰო, თუ არა?!

# დიდი მაესტროს წყალობით

*კინომსახიობთა თეატრის ახალგაზრდა, ნიჭიერ მსახიობს რუსუდან ბოლქვაძეს თავისი მაყურებელი ჰყავს. უყვარო, ინტერესით ელოდებიან მის ახალ როლებს.*


„მწვანე ოთახში" – ტასიკო – რუსუდან ბოლქვაძე.

ვერ ვიტყვით, რომ მთლად შემთხვევით მოვიდა თეატრში. ბავშვობიდან უყვარდა ცეკვა-თამაში, გართობა, წამოზრდილი არქეოლოგობაზე ოცნებობდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სრულიად განსხვავებული პროფესია აირჩია. თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, ლამის ბეწვის ხიდზე გაიარა, გაუმართლა. ნამდვილ გამართლებად კი მიიჩნევს და უფალს მადლობას სწირავს, რომ ბედმა ქალბატონ ლილი იოსელიანს შეახვედრა, თუ რაიმეს წარმოადგენს და მიაღწია, სულ მის დამსახურებად თვლის.

**სჯობს თვითონ მას მოვუსმინოთ:**

ლილი იოსელიანი სრულიად თავისებური მოვლენაა თეატრალურ ხელოვნებაში, განსაკუთრებით თეატრალურ პედაგოგიკაში. ქალბატონმა ლილიმ ჯერ თავდავიწყებამდე შეგვაყვარა თეატრი, მერე კი უდიდესი შრომის ფასად, ჩვენგან, ნედლი მასალისაგან, გამოგვძერწა მსახიობებად, თანაც ისე, რომ თითოეულს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი შეუნარჩუნა. და, რა გასაკვირია, ყველა მისი შეგირდი დედას ეძახდეს.

ქალბატონ ლილიზე რომ ის ვთქვა, რასაც მასზე ვფიქრობ, ამას მთელი ჟურნალი ვერ დაიტევს. ერთი ბედნიერება იყო, რომ ის მასწავლიდა და მეორე ბედნიერება: მისი მეშვეობით მოვხვდი მიხეილ თუმანიშვილთან.

**რუსუდან ბოლქვაძე დიდ მაესტრო მიხეილ თუმანიშვილზე:**

– ბედისწერა... სხვა სიტყვით ვერ გადმოვცემ ჩვენს შეხვედრას, ჩვენს შემოქმედებით ურთიერთობას.

მე-15 საუკუნიდან მომდინარე თუმანიშვილების გვარი ცნობილია საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობრებად, რომლებიც ილწვოდნენ ქართული კულტურის სარბიელზე. ბატონმა მიშამ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული თეატრის ალმაღლობას. ახლა მისი წიგნები რად ღირს: „სანამ რეპეტიცია დაიწყება", „რეჟისორი თეატრიდან წავიდა", „ახლა კი ფარდა" – ყველა თეატრალის სამაგიდო წიგნებია.

...მესამე კურსის სტუდენტი, გამოუცდელი, უდარდელი, ქარივით დავქროდი დერეფნებში. უცებ, ჩემს წინ ბატონი მიშა ამოჩნდა – დამაკვირდა, ხელი ჩამომართვა, ხელზე ელეგანტურად მაკოცა. ასეთი შეხვედრა დიდ რეჟისორთან შეიძლება ვინმეს დაავიწყდეს?

კინომსახიობთა თეატრი ახალი გახსნილი იყო, ოფიციალურად 1978 წელს დაფუძნდა ბატონ რეზო ჩხეიძის დიდი მონდომებითა და ხელშეწყობით. თეატრალური სახელოსნო ერქვა. ბრძენი ხელოვანი გახლდათ ბატონი მიშა. მან შექმნა თანამოაზრეთა ჯგუფი თავისი ლიდერით. ჩვენი სტუდია არ ჰგავდა სხვა თეატრებს. ვეძებდით ახალ გზებს. ჩვენი მაესტროს სურვილი იყო, ჰყოლოდა „სოლისტების ანსამბლი", მისი ყველა მსახიობი ყოფილიყო თავისთავადი და გამორჩეული, რასაც უალრესად დიდი შრომით, ჩვენი მონდომებითა და სიბეჯითით ალწევდა კიდეც. ბევრ ქვეყანაში დაიწერა მასზე, მის მსახიობებზე. მსოფლიო მასშტაბის რეჟისორი გახლდათ, აკი რეჟისორთა საუკეთესო შვიდეულში შეიყვანეს. 1994 წელს ლონდონში გამართულ შექსპირის საერთაშორისო ფესტივალზე „ზაფხულის ღამის სიზმარმა" საუკეთესოთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. უყვარდა თქმა – სპექტაკლს ჩემი ახლობლებისთვის ვდგამო. არ უყვარდა თავისი ნაშრომის აფიშირება, მაყურებლის ინტუიციას და გემოვნებას ენდობოდა, მაგრამ ლორკასი არ იყოს, მასაც მიაჩნდა, რომ თეატრმა უნდა ასწავლოს მაყურებელს და არა მაყურებელმა თეატრს. მის თეატრში „დროის მოსაკლავად" არავინ მიდიოდა. თეატრი ოჯახის პრინციპზეააგო, მისი როლი ოჯახის თავკაცისა იყო, როცა ოჯახის მამა მიდის ამ ქვეყნიდან, რაც გამოუცდელ ოჯახის წევრებს ემართებათ, ჩვენც ის მოგვივიდა. მაგრამ ცხოვრება გრძელდება, ვილაც კისრულობს უფროსობას და ძნელად, მაგრამ მაინც ვსწავლობთ მის გარეშე ცხოვრებას.

**– ქ-ნო რუსუდან, სწორედ ეს მინდოდა მეკითხა, როგორ ცხოვრობთ ბატონი მიშას შემდეგ, რა ხდება თქვენს თეატრში, ვინ უდგას მას სათავეში?**

– ამჟამად თეატრს მისი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი ნუგზარ ბაგრატიონი ჰყავს. ჩვენთან მუშაობენ რეჟისორები ქეთი დოლიძე და გოგი მარგველაშვილი, მაგრამ მისი არყოფნა ნამდვილად იგრძნობა.

ძველი სპექტაკლებიდან განურჩევლად იმისა, ვთამაშობდი თუ არა მასში, განსაკუთრებით მიყვარს „საქმე", „მუშანიკის წამება", „დონ ჟუანი", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ნუთისოფელი ასეა", „ვატერ/პო/ლოო"; დღევანდელი რეპერტუარიდან ყველა ერთნაირად მიყვარს, თითქმის ყველაში ვთამაშობ.

**– მიხეილ თუმანიშვილს უკვე გარკვეული დრო გაშორებთ. ამ სიშორიდან როგორ აღიქვამთ მას?**

– ჩემთვის ყველაფრის მომცველია ეს სახელი და გვარი. ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა მასზე, კიდევ მეტი დაიწერება მომავალში. როგორც ხდება ხოლმე, ჩვეულებრივი მოვლენა გვეგონა, როცა მის გვერდით ვიყავით, ახლა კი მისი სიდიდე განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს. კარგად თქვა ესენინმა „დიდი ყოველთვის უკეთესად მოჩანს შორიდან".

**– მიმზიდველი და პოპულარული ახალგაზრდა ქალბატონი ნუთუ დაოჯახებაზე არ ფიქრობს, არა ჰყავს გულის რჩეული?**

– ქათინაურისათვის დიდი მადლობა. ამ საქმეს მარტო ფიქრი რას უშველის? პირადულზე საჯაროდ ლაპარაკი, თუმცა მოდაში შემოვიდა, მაგრამ არ მიყვარს. ის ჩემი ინტიმია, მხოლოდ მე მეკუთვნის.

**– თქვენს პარტნიორებში რომელს გამოარჩევდით, ვისთან მეგობრობთ, ჭორები თუ გაგიგიათ საკუთარ პერსონაზე?**

– ყველა ჩემი პარტნიორი, ცხოვრებაშიც ჩემი მეგობარია. თეატრში ყველანი ერთმანეთის პარტნიორები ვართ, ხან ვისთან გიწევს თამაში და ხან – ვისთან. ჭორების მოგონებაზე ადვილი არაფერია, არც მე ვარ გამონაკლისი.

**– როგორ უყურებთ ხელოვანის აქტიურობას პოლიტიკაში?**

– პირადად მე არც მიყვარს და არც ვფიქრობ პოლიტიკაში ყოფნაზე, არც იმათი მესმის, ვინც პოლიტიკაშია ჩაბმული. მიმაჩნია, ნიჭიერი ხელოვანი თავისი ხელოვნებით უნდა ემსახუროს ქვეყანას. აბსოლუტურად განსხვავებული სფეროებია და ვინც ამის შეთავსებას შეძლებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**– ახლა ცოტა რამ თქვენს ოჯახზე. ბევრს ლაპარაკობენ თქვენს ბებია-შვილიშვილობაზე, სასიამოვნო მოსასმენი იყავით, სითბოთი რომ საუბრობდით ხანდაზმულ ბებიაზე. რამდენი თაობა ცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ?**

– ოთხი თაობა. უფროსი – ბებია 102 წლისაა, სულ პატარა – ჩემი ძმისწული – რვა თვის. ბებიაჩემის განსაკუთრებულობა მის ასაკში როდია. დიდი ტრადიციების მქონე ოჯახის შვილია, დეკანოზის ქალიშვილი, გვარად ასათიანი. რაც მთავარია, სიცოცხლე უყვარს, ნათელი, ძლიერი, ღირსეული პიროვნებაა.

(კედელზე ჰკიდია ლამაზი გარეგნობის მოხუცების გადიდებული სურათები – რუსუდანის დიდი ბებია, ბაბუა, მათი დები და ძმები, რაც თანამედროვე ოჯახებში დიდ იშვიათობად ქცეულა).

დედ-მამა მუშაობდა, მე და ჩემს ძმას ბებია და ბაბუა გვზრდიდა. ოჯახი მყარ ტრადიციებზე იდგა, გვქონდა ოჯახური რიტუალები. ბაბუა თეთრგვარდიელი იყო. ბავშვებს სიყვარულის ატმოსფეროში გვზრდიდნენ. მამა ინჟინერი გახლდათ, დაკავებული იყო, მაგრამ ორი დღე კვირაში მაინც ჩვენ გვეკუთვნოდა. გვიან მოეკიდა ოჯახს და იქნებ ამიტომაც, განსაკუთრებული სინაზე იგრძნობოდა მის დამოკიდებულებაში ჩვენდამი. დედა ექიმია, – ის ნამდვილი დედაა, მოსიყვარულე, თავდადებული, ჩემი ურთგულესი მეგობარი.

როცა ბებია ასი წლის გახდა, ფართოდ გავაღეთ სახლის კარი, ვინც კი მოისურვა, ყველა მოვიდა, ერთი კვირა ვილხენდით. იაპონიიდან გერონტოლოგებიც გვეწვივნენ, უნდოდათ, ბებიაჩემის სიცოცხლის ხანგრძლივობა მაწვნის სარგებლიანობით აეხსნათ, მაგრამ ბებომ ტყუილი არ იკადრა – მაწონი სასტიკად არ მიყვარსო! ფორტეპიანოს უჯდა და ისე ილხენდა. ზედმეტი ალერსით არასოდეს გვათავხედებდა, თუმცა ძალიან თბილი და მოსიყვარულე იყო.

...ორი დღის წინ შეუ[illegible] სიცხემ აუწია, სულ ხელებზე გვკოცნიდა, პირჯვარს იწერდა, გვეფერებოდა, ბუტბუტებდა – ნეტავ იცოდეთ, როგორ მიყვარხართო. ბედნიერი ქალია, ქრისტიანულად იცხოვრა, ყველა ასაკში პატივისცემითა და სიყვარულით იყო გარემოსილი. მისი დამსახურებაა, ჩვენს ოჯახში ჯანსაღი სულისკვეთება რომ სუფევს.

**– რუსუდან, რას ნიშნავს თქვენთვის მაყურებელი?**

– ძალიან ბევრს. მის გარეშე თეატრი მკვდარია. ჩვენ ხომ მათთვის ვართ, ისინი – ჩვენთვის, ორივენი ერთად ვქმნით თეატრს!

ჩვენს თეატრს უკვე თავისი საკუთარი მაყურებელი ჰყავს. ისინი ჩვენთან ერთად გაიზარდნენ, გვგულშემატკივრობენ, გველოდებიან, როდის გამოვჩნდებით სცენაზე. ამას წინათ, წვეულებაზე უკვე მელოტი, ორი შვილის მამა მიღიმის, მიახლოვდება, ქათინაურებით მავსებს – „ქალბატონო რუსუდან, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, თქვენს სპექტაკლებზე ვარ გაზრდილი, ახლა კი შვილებს დავატარებო". ცოტა არ იყოს, შევცბი, თავი უფრო ახალგაზრდა მეგონა (ეს ხუმრობით). მიხარია, როცა მიღიმიან, ქუჩაში მცნობენ, სითბოსა და სიყვარულს მაგრძნობინებენ, მადლიერი ვარ მათი.

**– ბედნიერი ხართ?**

ყველაფერში შეიძლება ბედნიერება იპოვო ადამიანმა და გაიხარო. ეს თავად ადამიანზეა დამოკიდებული. ცუდია უმადურობა. ბედნიერება ადამიანმა სხვასაც და საკუთარ თავსაც თავად უნდა მიანიჭოს. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ბედნიერი ვარ.

**ნანული ბუკია**

# ნემსით, ძაფითა და სიყვარულით

განათლებით ფილოლოგია – მხოლოდ ხუთი წელი მუშაობდა პედაგოგად. ჩვენთან პირველი საბავშვო სატირულ-იუმორისტული თეატრის დამაარსებელია, რომლის ავტორიც, რეჟისორიცა და მუსიკალური გამფორმებელიც თავადაა; შეუძლია მრავალ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაუკრას ძალზე ნიჭიერად, წერს მშვენიერ ლექსებს... ერთი სიტყვით, რამდენიმე მუზის მსახური გახლავთ; და მაინც, **თინა ხმალაძისათვის** ყველაზე უმთავრესი ქართული ხელოვნების ტრფიალია.

ქარგავდა სწორედ რომ ბავშვობიდან. დედა არ ახსოვს, თუმც კი სულ ასე ესმოდა, – დედასავით ხელმარჯვეა, დედასავით ოქროსხელებაო.

ძალიან უყვარდა ბუნება. მაშინ ბაგები არ იყო ქალაქის პრესტიჟული საცხოვრებელი უბანი – ერთი პატარა სოფელი გახლდათ. ჰოდა, პაპასა და ბებიას ყველგან კუდში დასდევდა. მერე ჩნდებოდა ნაქარგები ლამაზი ყვავილებითა და პეპლებით, ფინიათი და კრუხ-წიწილათი, კოპწია ოდა-სახლებითა და ლობეზე ამაყად შემომჯდარი მამლით...

და მერეც, როცა უკვე თავად ზრდიდა შვილებს, სულ ქარგავდა და ქარგავდა, ისე თავისთვის... ნაქარგებს კედელზე რომ ვერ ატევდა, კარადის თავზე აწყობდა.

ერთხელაც, სტუმრად მოსულმა ქალბატონმა ნაზი ელიაშვილმა მისი ნამუშევრების ხილვისას აღტაცება ვერ დამალა და მათი სამზეოზე გამოტანა ურჩია.

მას შემდეგ ქალბატონი თინა მრავალი პერსონალური გამოფენის ავტორია, ხოლო შარშან, ქარვასლაში მისმა გამოფენამ მნახველი ვერ დაიტია.


ფიროსმანის „მეეზოვე" – თინა ხმალაძის ნაქარგობა.

თვალს მოგტაცებთ მისებურად გაცოცხლებული ფიროსმანის ნახატები – თითოეული ნიუანსი, ფერთა არაჩვეულებრივი გამა საოცარი სიმსუბუქითაა და სიზუსტითაა გადატანილი ჩვეულებრივი ნემსითა და ძაფით შესრულებულ რეპროდუქციებში.


„სპარსული მოტივები"

ნატურმორტებს, პეიზაჟებს ორიგინალთა სიწრფელესთან ერთად, მქარგველის ხელწერაც ემატება და სახილველად, ასე ვთქვათ, ძალზე საამოა.

რელიგიურ თემაზე ქალბატონ თინა ხმალაძეს მრავალი ნაქარგი აქვს შესრულებული:

– ღვთისადმი სიყვარული და რწმენა ბავშვობიდანვე მქონდა ჩანერგილი, – ამბობს იგი, – მერე, უკანასკნელ წლებში დატრიალებულმა ამდენმა ტრაგედიამ მიმაახლოვა ეკლესიასთან. როცა ხატები ჩემებურად გადამაქვს ტილოზე, უდიდეს სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობ. ერთი მათგანი დიდუბის ეკლესიას შევწირე. უკან წავაწერე: „ღმერთო, მიცოცხლე საქართველო"... მერე, სანახავად მისულს მითხრეს, – მოიპარესო... ძალიან მეტკინა გული.

ქალბატონი თინა ოქრომკედითაც მუშაობს. ქარგვაში ჩახედულთ კი კარგად მოეხსენებათ, რომ ოქრომკედით ქარგვა ურთულესია და ყველას როდი ხელეწიფება იგი. კიდევ... კიდევ გობელენებს ქსოვს.

მისი ხასიათის ძალზე კარგი თვისებაა: უშურველად უზიარებს ყველა მსურველს ქარგულობის საკუთარ საიდუმლოებებს – ხელმძღვანელობს ხელსაქმის წრეს.

და აი, ასეთი მდიდარი გამოცდილების ქალბატონი უკვე რამდენი წელია, უშედეგოდ ეძებს პედაგოგის ადგილს მოსწავლეთა სასახლეში, მომავალ თაობას სახელოვან ქართველ მანდილოსანთა ტრადიციები რომ არ დაუკარგოს.

...ცხოვრობს თბილისში მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი ქალბატონი. დიდ ოჯახთან ერთად სხვის ერთ პატარა ოჯახში შეყუჟული, მომავლის არც თუ დიდი იმედითა და რწმენით – დაადგება კი საშველი მათ მშვენებარე სახლს?! ექნება კი საკუთარი კუთხე, მუშაობის საშუალება რომ მიეცეს და ამდენი ნამუშევარი სადღაც კუთხეში გდებისაგან არ გაუფუჭდეს?..

**მანანა იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

UNFPA/WHO
National Forum on Family Planning

# თქვენს გოგონას პრობლემები აქვს?

სქესობრივი მომწიფების პერიოდში თავს იჩენს რეპროდუქციული სისტემის დაავადებანი, რომელთა დროული დიაგნოსცირება და მკურნალობა მრავალ პრობლემას ააცილებს მომავალ დედებს. მშობლების დაუდევრობის შედეგად, ერთი შეხედვით „უმნიშვნელო პრობლემები" რეპროდუქციული ფუნქციის სერიოზულ დარღვევებში გადაიზრდება, რომელთა მკურნალობა მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს.კ. ინსტიტუტში უკვე 25 წელია მუშაობს ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიის განყოფილება. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, განყოფილების ექიმ-რეპროდუქტოლოგებს გავლილი აქვს მომზადების სპეციალური კურსი, რომელიც ითვალისწინებს როგორც გინეკოლოგიას, ასევე პედიატრიას, გენეტიკას, ბავშვთა ენდოკრინოლოგიას, ბავშვთა ქირურგიას და სხვა სპეციალობებს.

აქსელერაციამ, ეკოლოგიურმა და სოციალურმა პრობლემებმა გავლენა იქონია მოზარდთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, მშობლები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ პირველ სიმპტომებს და მხოლოდ მაშინ მოგვმართავენ, როცა დაავადება სერიოზულ საფრთხეს უქმნის გოგონას ჯანმრთელობას.

პაციენტები უჩივიან მენსტრუალური ციკლის დარღვევებს, რაც უმეტესად სქესობრივი მომწიფების პერიოდში ვლინდება. მენსტრუალური ციკლის დარღვევები შეიძლება გამოიხატოს ნაადრევი ან დაგვიანებული პირველი თვიურით, მტკივნეული ან გახანგრძლივებული მენსტრუაციით და სხვა.

პირველი თვიურის – მენარქეს საშუალო „ასაკი" 11-13 წელია. ნაადრევი და დაყოვნებული მენარქეს შემთხვევაში, აუცილებელია ექიმ-გინეკოლოგის სასწრაფო ჩარევა, რადგან შესაძლებელია საქმე გვქონდეს სხვადასხვა დაავადებებთან, როგორიცაა სასქესო ორგანოთა განვითარების მანკები, ქრომოსომული ანომალიები, თავის ტვინის ან საკვერცხეების სიმსივნე და ა.შ. დროული და სრულყოფილი გამოკვლევა, სწორი დიაგნოსცირება საშუალებას იძლევა დადგინდეს და დროულად აღმოიფხვრას პათოლოგიის მიზეზი.

თვიურის დროს ტკივილს მშობლები ნორმალურ მოვლენად აღიქვამენ და არ თვლიან საჭიროდ ექიმის ჩარევას. მოგვმართავენ მხოლოდ მაშინ, როცა მენსტრუალური ტკივილი აღარ ემორჩილება ტკივილდამაყუჩებელ საშუალებებს. ტკივილი მენსტრუაციის დროს არ არის ნორმალური და მოსათმენი მოვლენა. აუცილებელია მისი მიზეზის დადგენა. დროული, ეფექტური მკურნალობის შედეგად თვიური უმტკივნეულო ხდება.

მენსტრუალური ციკლის დარღვევა ნებისმიერ ეტაპზე საგანგაშო ნიშანია. საზოგადოებაში არსებობს მცდარი აზრი, რომ არარეგულარული თვიური მენსტრუალური ციკლის ჩამოყალიბების პირველი ორი წლის მანძილზე ნორმალური მოვლენაა და „თავისით დარეგულირდება".

„გახანგრძლივებული" ან „ხშირი" თვიური სერიოზული პათოლოგიაა და მისი უგულვებელყოფა ან მკურნალობა არასპეციალისტის მიერ ყოვლად დაუშვებელია. პაციენტი, რომელსაც ჩატარებული აქვს არასწორი მკურნალობა, უფრო რთულია როგორც დიაგნოსტიკის, ასევე მკურნალობის თვალსაზრისით.

სისხლისდენა შესაძლოა განვითარდეს თვიურის „გამოტოვების" ან ხანგრძლივი „გადაცდენის" შემდეგ. გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სისხლისდენის თავიდან აცილება, თვიურის „გადაცდენის" პერიოდში თუ მიმართავენ ექიმს. სამწუხაროდ, გოგონები თვეების და, შესაძლოა, წლების მანძილზე ელოდებიან ციკლის დარეგულირებას. ამ ხნის მანძილზე კი გოგონას საკვერცხეებში, მთელ ორგანიზმში მიმდინარეობს პათოლოგიური ძვრები. ექიმს მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა აღნიშნული პროცესები თვალსაჩინო ხდება (პათოლოგიური თმიანობა სახესა და სხეულზე, სიმსუქნე, დაჭიმულობის ხაზების გაჩენა კანზე, გამონაყარი, არტერიული წნევის მატება, თავის ტკივილი, გულყრები და ა.შ.).

მენსტრუალური ციკლის დარღვევა რეპროდუქციული სისტემის მრავალ დაავადებას ახასიათებს, რომელთა ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და სწორი მკურნალობა ყოველთვის შედეგიანია. სამწუხაროდ, შორსწასულ შემთხვევებში პროცესი მხოლოდ რეპროდუქციული სისტემით არ შემოიფარგლება, ბევრად უფრო რთულია და ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს.

სქესობრივი მომწიფების პერიოდის პრობლემები, სამწუხაროდ, მხოლოდ მენსტრუაციული ციკლის დარღვევებით არ შემოიფარგლება. ნებისმიერი დარღვევა უაღრესად მნიშვნელოვანია და ექიმის, სპეციალისტის დროულ ჩარევას მოითხოვს. ისიც გახსოვდეთ, რომ ამა თუ იმ პათოლოგიის გამოვლენა და სწორი მკურნალობა, მხოლოდ ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიის სპეციალისტს შეუძლია.

თუ თქვენს გოგონას აღნიშნული პრობლემებიდან ერთ-ერთი მაინც აწუხებს, დროულად მოგვმართეთ. ყოველი დაგვიანებული დღე თქვენი გოგონას ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქადის.

**თამარ ხომასურიძე**
**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,**
**ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის**
**ს.კ. ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგი**

# ვარიკოცელე – მამაკაცის უნაყოფობის მიზეზი

მამაკაცის უნაყოფობის მიზეზთა შორის სათესლე ბაგირაკის ვენების გაგანიერება (ვარიკოცელე) ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. იგი მამაკაცთა 8-20 პროცენტში გვხვდება. მოსწავლეებში 8,4-12,4 პროცენტს შეადგენს (გასათვალისწინებელია აქსელერაცია). ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ამ პათოლოგიის მქონე მამაკაცთა დიდ ნაწილს აღენიშნება სპერმატოგენეზის მოშლა და არა იშვიათად – იმპოტენცია. ხოლო უშვილო პაციენტთა 39 პროცენტში გამოვლინდება ვარიკოცელე.

ვარიკოცელე ძირითადად მარცხენამხრივია.

პაციენტთა უმრავლესობაში დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს და გამოვლინდება სათესლე პარკის შესაბამისი ნახევრის გადიდებით, თუმცა ზოგჯერ აღინიშნება უსიამოვნო შეგრძნებები; ტკივილი სათესლე ჯირკვალში, რომელიც ძლიერდება ფიზიკური დატვირთვის დროს. დროთა განმავლობაში იცვლება ჯირკვლის კონსისტენცია, ვითარდება ჯირკვლის ჰიპოპლაზია, ატროფია. დაავადება შეიძლება გართულდეს გაგანიერებული ვენის ანთებით – ფლებიტით. ამ შემთხვევაში ტკივილი იღებს

მუდმივ ხასიათს, ვენები მკვრივდება, შესაძლებელია თრომბის მოწყვეტა და ემბოლია.

სპერმატოგენეზის ნორმალური მიმდინარეობისათვის სხვა მრავალ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სათესლე ჯირკვალის ტემპერატურას, რომელიც 2-3 გრადუსით ნაკლებია სხეულის ტემპერატურასთან შედარებით. თავად ევოლუციის პროცესმა მოიტანა ეს აუცილებლობა მამრი ძუძუმწოვრებისათვის. ვარიკოცელეს დროს შედარებით მაღალი ტემპერატურაა სათესლე პარკში, რასაც აძლიერებს პარკის გარსის ატროფია და მისი თერმომარეგულირებელი ფუნქციის მოშლა. დაავადების დროს მოქმედ სხვა მავნე ფაქტორთაგან აღსანიშნავია ვენური შეგუბება – ჰიპოქსემია, კვების გაუარესება მკვებავი არტერიის დაგრძელების, მისი სანათურის შევიწროების და არტერიოსპაზმის გამო, ვარიკოზულად გაგანიერებული ვენის მექანიკური ზეწოლა, ლიმფის შეგუბება გაგანიერების მხარეს, ზოგიერთ შემთხვევაში თირკმლისა თუ თირკმელზედა ჯირკვლების ფერმენტთა თუ ჰორმონთა მავნე მოქმედება სპერმატოგენურ ეპითელზე, ჰემატოტესტიკულური ბარიერის დარღვევა, აუტოიმუნური პროცესები.

დაავადება თანდათანობით პროგრესირებს და იწვევს რეპროდუქციული ფუნქციის მოშლას და სექსუალურ დარღვევებს. საყურადღებოა იმ გამოკვლევათა შედეგებიც, რომელთა თანახმად დროთა განმავლობაში ცალმხრივი ვარიკოცელეს დროს ჩნდება მორფოლოგიური ცვლილებები მეორე, შესახედად შეუცვლელ ჯირკვალში, რაც იწვევს მამაკაცის ნაყოფიერების დაქვეითებას სრული სტერილობამდე.

განსაკუთრებით გვინდა გავაფრთხილოთ მშობლები, ახალგაზრდები რომ დღეისათვის არსებული გამოკვლევის მეთოდები დაავადების დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საშუალებას იძლევა, რაც თავიდან აგვაცილებს სავალალო შედეგებს, რომელთა აღმოფხვრა დაგვიანებულ შემთხვევებში ზოგჯერ შეუძლებელია. ქორწინებაში მყოფი მამაკაცები, რომლებსაც აქვთ ჩივილები უნაყოფობაზე ან იმპოტენციაზე, საჭიროებენ სპერმისა და ჰორმონალური გამოკვლევების ჩატარებას.

მკურნალობის კონსერვატიული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ბრძოლა ყაბზობასთან, გადაჭარბებული სქესობრივი ცხოვრებიდან თავის შეკავება, შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, სპორტი და ვიტამინებით მდიდარი კვება. არასასურველია ავადმყოფთათვის ხანგრძლივი დროით მანძილზე სუსპენზორიუმის ხმარება.

უნდა დავეთანხმოთ ავტორებს, რომლებიც სვამენ ოპერაციული ჩარევის საკითხს. მითუმეტეს რომ დღეისათვის მოწოდებულია ასზე მეტი ოპერაცია და მოდიფიკაცია.

ი. ჟორდანიას სახ. რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის ანდროლოგიური გან-ბა წლების მანძილზე ეწეოდა მოსწავლეთა პროფილაქტიკურ გასინჯვებს და დისპანსერულ აღრიცხვაზე აჰყავთ რისკის ჯგუფში შემავალი მოზარდები. მათი მკურნალობის დიდი გამოცდილება გვაქვს.

ამიტომ მინდა შევახსენო მშობლებს, რომ ყურადღება მიაქციონ ზემოჩამოთვლილი კლინიკური გამოვლინებების არსებობას ბავშვებში და მოზარდებში და დროულად მიაკითხონ რჩევისათვის ექიმ-ანდროლოგს.

**შოთა ნიშნიანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოგონას სარაფანი

გოგონას სარაფანის მოსაქსოვად საჭიროა 150-200 გრამი რბილი ძაფი, შეგიძლიათ ორფერი ან სამფერი ძაფით მოქსოვოთ. სანამ ქსოვას დაიწყებდეთ, აიღეთ ზომები: ყელის, გულმკერდის, წელის გარშემოწერილობა, სიგრძე ყელიდან წელამდე და წელიდან მუხლამდე ან მუხლს ზემოთ.

ქსოვას ვიწყებთ გულმკერდის გარშემოწერილობიდან. 3-4 წლის ბავშვისათვის აგვინძოთ 120 თვალი, შევკრათ. პირველ თვალში მაღალი ფეხი მოვქსოვოთ, შემდეგ — ერთი ჰაეროვანი თვალი, ნამატით ჩავიდეთ მესამე თვალში და მოვქსოვოთ მაღალი ფეხი, კიდევ ერთი ჰაეროვანი თვალი, და ნამატით ჩავიდეთ მეხუთე თვალში. ასე ვქსოვოთ მთელ წრეზე. შემდეგ რიგში ორ მაღალ ფეხს შორის ჰაეროვან თვალზე მოვქსოვოთ სამი მაღალი ფეხი, პირველი მაღალი ფეხი იქსოვება სამი ჰაეროვანი თვალის აგინძვით, მეორე და მესამე კი — ნამატით, შემდეგ ერთი ჰაეროვანი თვალი და სამი მაღალი ფეხი მოვქსოვოთ ქვედა რიგის ერთი ჰაეროვანი თვალის გამოტოვებით. ასე ვქსოვოთ წრიულად დაახლოებით 19-20 სმ წელამდე. შემდეგ 5 რიგი დაბალი ფეხით მოვქსოვოთ. შემდეგ ერთი რიგი — ისევ მაღალი ფეხით და საერთოდ მთელი სარაფანა იქსოვება ასე.

წელს ქვევით ნაქსოვი რომ გაგანიერდეს, 5 ადგილას ვუმატოთ ასე: ქვედა რიგის ჰაეროვან თვალში ორი მაღალი ფეხი გამოვქსოვოთ, მერე ერთი ჰაეროვანი თვალი და იმავე ქვედა ჰაეროვან თვალში ორი მაღალი ფეხი. ნამატით ვქსოვოთ 5 რიგი, ნამატებს შორის ინტერვალი 12-13 სმ-ია. შემდეგ კიდევ ვუმატოთ ქვედა რიგის ორ ნამატს შორის, ვქსოვოთ 5-6 რიგი, თუ ძალიან განიერი გვინდა, მესამეჯერ გავაკეთოთ ნამატი, ვქსოვოთ 4 რიგი. შემდეგ — 4 რიგი ნამატის გარეშე და ბოლო რიგი მოვქსოვოთ „ზუბცებით“ ასე: ქვედა რიგის ჰაეროვან თვალზე მოვქსოვოთ 6 მაღალი ფეხი და შემდეგ ჰაეროვან თვალზე გადავიდეთ დაბალი ფეხით. ასე ვქსოვოთ ბოლომდე.

იღლიის გამოსაყვანად საიდანაც დავიწყეთ ქსოვა, პირველი რიგის მაღალ ფეხებს შორის ზევით ვქსოვოთ ისე, როგორც ქვევით მოვქსოვეთ, 3 რიგი, ოღონდ წინა და უკანა ნაწილს ცალ-ცალკე, შემდეგ 5 რიგი დაბალი ფეხით. მეექვსე რიგზე გავაკეთოთ „ზუბცები“, ერთ თვალში სამი მაღალი ფეხი მოვქსოვოთ, დაბალი ფეხით გადავიდეთ შემდეგ თვალში. ასე ვქსოვოთ რიგის ბოლომდე და დავამთავროთ. წინა და უკანა ნაწილის შესაერთებლად აგვინძოთ დაახლოებით 30 სმ ზონარი და გავუყაროთ დაბალი ფეხით მოქსოვილი 5 რიგის შუაში ცალ-ცალკე, ბოლოებზე გავუკეთოთ „პომპონი“ და შევკრათ. ასეთივე ზონარი გავუყაროთ წელში;

ბოლოს ნაქსოვი გადავკეცოთ იმ ადგილზე, საიდანაც დავიწყეთ ქსოვა (პირველ რიგზე). 3 რიგი მოვქსოვოთ ისე, როგორც ვქსოვდით, მეოთხე რიგი დავამთავროთ „ზუბცებით“.

„პომპონს“ ვაკეთებთ ასე: მუყაოსგან გამოვჭრათ ორი პატარა ფირფიტა, შუაში მრგვლად ამოვჭრათ, მივატყუპოთ და შუიდან გარშემო დავახვიოთ ძაფი, შემდეგ ფირფიტებს შორის გარშემო გავჭრათ ძაფი, გავწიოთ ფირფიტები, შუაში მოვუჭიროთ ძაფი, გავნასკვოთ ორ-სამჯერ და მივცეთ მრგვალი ფორმა.

**ლილი ზურაბაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სოფლის ექიმი"



*„საქართველოს ქალი" მასპინძლობს ცნობილ ექიმს, საქართველოს სამხედრო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფიტო-თერაპევტ რუსუდან ლომიძეს.*

ბავშვობაში გამიგონია – ყვარლის კურორტზე ისეთი ექიმი მუშაობს, მომაკვდავებსაც კურნავსო, თბილისიდანაც ბევრი აკითხავს რუსიკო ექიმსო... მიკვირდა, თბილისელები რატომ უნდა წასულიყვნენ „სოფლის ექიმთან".

გავიდა ხანი... ბატონმა თამაზ წიწვიძემ წერილის დაწერა დამავალა ერთ „ძალიან საინტერესო" ექიმზე. ექიმთან იმხელა რიგი დამხვდა, შიგ ძლივს შევაღწიე. 4 საათი იყო, – ვიფიქრე, 6-ზე უკვე სახლში ვიქნები, მასალას დღესვე დავწერ-მეთქი. ექიმმა კი მითხრა: ჩემზე ასე ადვილად ვერ დაწერთ, ჯერ პაციენტებს გაესაუბრეთ, მერე ანკეტებს გაეცანით, მერე მე და თქვენ ვისაუბროთ, მერე კი შეგიძლიათ დაწეროთო. თვალი გადავავლე ავადმყოფებს და ის იყო, ერთ ქალბატონს უნდა გამოვლაპარაკებოდი, რომ ჩურჩული შემომესმა: ჩემს მეზობელს ღვიძლის კიბო ჰქონდა და ამ ექიმმა მოარჩინაო. ყურებს ვერ დავუჯერე, ვიფიქრე, რაღაც ეშლებათ, თორემ კიბოს მორჩენას ვინ შესძლებს-მეთქი და, ნაცვლად იმისა, იმ მამაკაცს გამოვსაუბრებოდი, პირდაპირ ექიმს მივმართე: თქვენზე ამბობენ, ღვიძლის კიბო მოარჩინაო! მან კი უბრალოდ მიპასუხა: ანკეტა სახლში მაქვს, თუ გნებავთ, გიჩვენებთო. არ ვიცი, როგორი გამომეტყველება მივიღე, ერთია რომ ყველა სიტყვა წამიერად დამავიწყდა. იმ ერთ წამში კი ქალბატონმა რუსუდანმა სამი სახელი ჩამომითვალა, რომელთაგან ერთს თავის ტვინის კიბო ჰქონია, მეორეს – მელანომა, მესამეს – ოსტეობლასტოკლასტომა. თანაც დასძინა: დღეისათვის არც ერთ მათგანს სიმსივნე აღარ აღენიშნება, ანკეტურ მონაცემებს გაგაცნობთო.

იმდენად დარბაისელი ქალბატონი ამბობდა ამას, ეჭვის შეტანა გამიჭირდა, თუმცა დაჯერებაც ძალიან ძნელი იყო, – თუ ასეა, რატომ ფართო საზოგადოებამ არ იცის თქვენს შესახებ-მეთქი?

– იმიტომ, რომ არ სჯერათ, – ერთხელ კი დაწერა ჟურნალისტმა მაგრამ... ისე, მართლაც არ არის ადვილად დასაჯერებელი. მათიც მესმის.

– თალიკო, ოთარაშვილის რენტგენის სურათები მომიტანე! – გასძახა ექთანს.

**– მაინც ვერ გავარჩევ, სჯობს ანკეტა მიჩვენოთ-მეთქი.**

– დაშლილი და აღდგენილი ძვლების გარჩევას რა უნდაო, – მეგობრულად მითხრა და სურათებს სინათლეზე გახედა, – აი, აქ დაშლილია ძვლები, ნახეთ, სულ არ ჩანს მარჯვენა მენჯის, ბარძაყის და ბოქვენის ძვლები; აქ აღდგენის პროცესი იწყება, – აქ კი, ხომ ხედავთ აღდგენილ ძვლებს!..

ეს ავადმყოფი პროფესორმა ირაკლი ნადირაძემ გამომიგზავნა. თავიდან ბატონი ირაკლიც არ ცნობდა ჩემი მეთოდით კიბოს მკურნალობას, მაგრამ, როცა მისი ერთი უმძიმესი პაციენტი ფეხზე დავაყენე, მაშინ უკვე აღიარა მცენარეთა იდუმალი ძალა.

მანანა ოთარაშვილი ჯერ თბილისის ონკოლოგიურ სამეცნიერო ცენტრში მკურნალობდა, მერე მოსკოვის ოსცში, მერე კვლავ თბილისში დაბრუნდა... მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ პაციენტი ფეხმძიმედ იყო, – ბავშვის შენარჩუნებაზეღა ზრუნავდნენ... საკეისრო ოპერაციის შემდეგ კი, როცა ეგონათ, რამდენიმე დღის სიცოცხლეღა იყო დარჩენილი, ბატონ ირაკლის გავახსენდი და ავადმყოფის მშობლებს ჩემთან მოსვლა ურჩია.

ფიტო-მკურნალობის დაწყებიდან თვენახევრის შემდეგ სურათზე ძვლების კონტურები გამოისახა, ოთხი თვის შემდეგ პაციენტი ფეხზე დადგა, 8 თვის შემდეგ კი ძვლები აბსოლუტურად აღდგა. აი, შეხედეთ სურათს! – მას შემდეგ გასულია 4 წელი, მანანა სხვის დაუხმარებლად ზრდის პატარა გიორგის.

მონუსხულივით ვუყურებდი რენტგენის სურათს და თავი შუა საუკუნეების ალქიმიკოსებთან მეგონა. ამ გრძნობას უფრო იმ მცენარეთა სუნი მიძლიერებდა, თალიკო დიდ ქვაბებში რომ ხარშავდა...

თალიკო შაიშმელაშვილი ყვარლის კურორტზე გაიცნო რუსუდან ლომიძემ, სადაც ზაფხულის თვეებში მუშაობდა. რუსიკო ექიმის კლინიკური და პოლიკლინიკური მუშაობის სტაჟი ნახევარ საუკუნეს გასცდა, მაგრამ ისე ახალგაზრდულად გამოიყურება, ზოგჯერ დედა-შვილი და-ძმა ჰგონიათ... ეს კი იმ მცენარეთა წყალობით, რომელთაც მისი მამა-პაპა სამკურნალოდ იყენებდა.

ახალსოფლელი დიმიტრი ლომიძე კახეთში ცნობილი მკურნალი იყო, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის წლებში სასტიკად იდევნებოდა არატრადიციული მკურნალობის გამო, რამდენჯერმე დააპატიმრეს, მცენარეებიც დაუწვეს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა...

უფროსმა ქალიშვილმა სამედიცინო ინსტიტუტში რომ ჩააბარა, მამამ გაიხარა, – ოჯახის ტრადიციას გააგრძელებსო, მაგრამ რუსუდანი მცენარეებისკენ არც იხედებოდა...

როცა საპენსიო ასაკს მიაღწია, საოჯახო კარაბადინი გაიხსენა და თავის ექთანს გაანდო განზრახვა. თალიკო თავიდანვე გვერდით დაუდგა ექიმს. კურორტის ადმინისტრაცია ორივეს დაუპირისპირდა, მაგრამ ექთანი, ღამით, ჩუმად ხარშავდა მცენარეებს, ექიმი კი, ტრადიციული სამკურნალო საშუალებების ნაცვლად „არატრადიციულ" ფიტო-ექსტრატებს აძლევდა ავადმყოფებს. თავიდანვე ისეთი დადებითი შედეგები მიიღეს, რომ უკვე მომავალი ზამთრისათვის დაიწყეს მცენარეთა მოგროვება.

ექიმები, ცოტა არ იყოს, ირონიულად უყურებდნენ ბალახებით მკურნალებს, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ არავის ქირქილს, მცენარეებს კრეფდნენ და თალიკოს ოჯახში ინახავდნენ, – (თალიკო რუსიკო ექიმმა გაათხოვა, საქორწილო კაბაც თვითონ უყიდა). ქალიშვილს სამედიცინო სასწავლებელი წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული და ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა, მაგრამ რუსიკო ექიმს აღარ მოსცილებია... 1984 წელს კი მცირეწლოვანი შვილები დედამთილ-მამამთილის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედზე დატოვა და მხოლოდ შაბათ-კვირას ჩადიოდა ქმარშვილთან. რუსუდანმა თავის ჭერქვეშ მიუჩინა ბინა და შვილივით ზრუნავდა თალიკოზე.

XXX

სული სითბოთი ამევსო, როცა გავიგე, იმ რუსიკო ექიმთან ვიყავი, რომლის ქებაც ბავშვობიდან მესმოდა. ჩვენი საუბარი ღამის ათ საათამდე გაგრძელდა და რომელი ანკეტებიც ვერ წავიკითხეთ, სახლში გამომატანა.

მეზობელ ექიმს ანკეტები წავაკითხე. მან რამდენიმე ანკეტა გამოარჩია და მითხრა: ეს ყველაფერი თუ მართალია...

მეორე დღეს, ტრანსპორტში, ახლობელს ვუზიარებდი შთაბეჭდილებებს, – მოულოდნელად უცხო მამაკაცი გამომელაპარაკა: დიდუბელი ვარ, ქალბატონი რუსუდანი 30 წელი ჩვენს უბანში მუშაობდა, – მამაჩემს მის მეტი ექიმი არ სწამდაო.

...მეც ნდობით და პატივისცემით განვეწყვე რუსუდანის მიმართ და ჩემი პირველი პუბლიკაციაც გაჩნდა. ზოგ ექიმს ცილისმწამებლური აზრებიც გაუჩნდა, – ყალბი ანკეტები გაჩვენა და მოსყიდული პაციენტები დაგახვედრაო. მე ექიმის გვერდით დავჯექი და თითოეული ავადმყოფის მკურნალობის პროცესს ვაკვირდებოდი.

...რუსუდანი **1995** წელს გავიცანი, მაშინ ლუქსემბურგის ქუჩაზე, ნაქირავებ, მოუწყობელ ბინაში მუშაობდა, წელს კი, ვაჟა-ფშაველას 30 ნომერში, საკუთარი, კომფორტული ოფისი მოიწყო... მაშინ ოჯახის წევრებიც ვერ იჯერებდნენ ექიმის წარმატებებს, დღეს კი ამერიკის კიბოს კვლევის ცენტრიც დაინტერესდა... მაშინ ექიმთა უმრავლესობა არ ცნობდა, დღეს კი ორი სამეცნიერო აკადემიის წევრია, თუმცა ვერ ვიტყვი, ახლაც ყველა ექიმს გულზე ეხატებოდეს. რას იზამ...

წლების მანძილზე იმდენი საინტერესო შემთხვევის მოწმე გავხდი, იმდენი მასალა დამიგროვდა, რომ სერიებად ვბეჭდავდი ქართულ თუ უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში, რადიო-სადგურ „ამერიკის ხმითაც“ გადავეცი... ბოლოს ბატონ ასლან აბაშიძის მიწვევით ფიტო-თერაპევტი ერთი წლის მანძილზე ბათუმში მუშაობდა.

სწორედ ბათუმიდან გაიღო უცხოეთის კარი, – ექიმს რამდენჯერმე ჰქონდა კერძო მიწვევა ევროპის ქვეყნებში; წელს კი „ევროპეისკი ვესტნიკის“ მთავარი რედაქტორის, ინგლისელი ფიზიოლოგის – დევიდ ნიაზის და ინგლისში საქართველოს ელჩის, თეიმურაზ მამაცაშვილის ინიციატივით რუსუდანი ერთკვირიანი ვიზიტით იყო ლონდონში. პრესკონფერენციას ჟურნალისტების გარდა ესწრებოდნენ ექიმები და ავადმყოფებიც.

ამ პრესკონფერენციის შესახებ თავად ქალბატონი რუსუდანი გვიამბობს:

– შეხვედრის მიზანი, ძირითადად, შემდეგი პრობლემების ირგვლივ ტრიალებდა: შეიძლება თუ არა მცენარეთა გამოყენება კიბოს პროფილაქტიკისათვის ახალგაზრდული ასაკიდანვე და შეიძლება თუ არა სიმსივნეების პოსტ-ოპერაციული მკურნალობა მხოლოდ მცენარეებით, – შეიძლება თუ არა სხივური და ქიმიო-თერაპია შეცვალოს ფიტოთერაპიამ?

– რა თქმა უნდა, შეიძლება. პოსტ-ოპერაციული მკურნალობაც მხოლოდ მცენარეებით კარგ შედეგებს იძლევა. გარდა ამისა, ქიმიო და სხივურ მკურნალობას, რიგ შემთხვევებში, წარმატებით ცვლის ფიტო-მკურნალობა.

**– რა იგულისხმება „რიგ შემთხვევებში“?**

– ეგ უკვე ჩემთვისაც აუხსნელია. მაგაზე მეცნიერებამ უნდა გასცეს პასუხი. არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ორგანოს ერთი და იგივე დაავადება აქვს ორ პაციენტს, ერთზე შესანიშნავ შედეგს ვიღებ, მეორეზე ჭიანურდება მკურნალობა.

**– რამდენადაც ვიცი, ლონდონში ავადმყოფების მიღებაც გქონდათ.**

– დიახ, ჩემს ჩასვლამდე საზოგადოება ინფორმირებული იყო და დაინტერესებული პირები, ძირითადად, ონკოლოგიური ავადმყოფები, წინასწარ ეწერებოდნენ სიებში, – სამი დღის განმავლობაში ვიღებდი პაციენტებს.



თბილისში კი, ფრიდონ თოდუას სადიაგნოსტიკო კვლევით ცენტრში, წარვადგინე ათობით პაციენტი, რომლებიც დაავადებული იყვნენ უკურნებელი სენით, მაგრამ დღეისათვის უკვე პრაქტიკულად ჯანმრთელნი არიან.

**– თქვენი ძველი პაციენტების ანკეტური მონაცემები ზეპირად ვიცი. თუ შეიძლება, ახალი ავადმყოფები გააცანით „საქართველოს ქალის“ მკითხველებს. მხოლოდ ისინი, რომლებიც მარტო მცენარეულ წამლებს იღებდნენ.**

– დიდი სიამოვნებით, ოღონდ რომელი გამოვარჩიო, არ ვიცი, – აი, თუნდაც.



მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ.

**კანდელაკი ქეთევანი**, რომელიც დაავადებული იყო კუჭის კიბოთი. მას ერთი წლის წინათ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ ხელუხლებლად დახურეს, რადგან ჩაითვალა ინოპერაბილურ შემთხვევად. მუცლის ღრუ სავსე იყო მეტასტაზებით, – მორფოლოგიურმა კვლევამ დაადგინა კუჭის ლიმფოციტური სარკომა. მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო, – ავადმყოფს არ უმკურნალია არსად. ფიტო-მკურნალობის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ ჩივილები აბსოლუტურად მოეხსნა, ოთხი თვის შემდეგ ჩატარებულმა გამოკვლევებმა კი აღნიშნული დიაგნოზი აღარ დაადასტურა.

**პერტენავა ირაკლიმ** აუტანელი თავის ტკივილებით, გასული წლის გაზაფხულზე, მიმართა ნევროლოგიის ინსტიტუტს, სადაც დაუდგინეს თავის ტვინის სიმსივნე (მრავლობითი კერები). მდგომარეობა უმძიმესი იყო და ავადმყოფი დიაგნოზის დადგენიდან 2 დღის შემდეგ გაწერეს ბინაზე. ამის შემდეგ დასახმარებლად მომმართეს და ორ კვირაში მკვეთრად დადებითი დინამიკა გამოიხატა, ერთ თვეში შეძლო სიარული, ხოლო 2 ოქტომბერს ჩატარებულმა კომპიუტერულმა გამოკვლევამ დიაგნოზი აღარ დაადასტურა.

XXX

მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ ეს შედეგები ნამდვილად სენსაციურია. სენსაციურია კიდევ მრავალი სხვა შემთხვევა, რომელთაგან გავიხსენებ მხოლოდ ერთს:

პატარა **გია გასიაშვილი** საავადმყოფოში გახდა 4 წლის. ბიჭუნა ჩირქოვანი მენინგო-ენცეფალიტით თვეების მანძილზე იწვა ჯერ ინფექციურ, შემდეგ კი ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ექიმები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, მაგრამ თავის ტვინზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ბავშვმა დაკარგა მეტყველება, სმენა და თვალის სინათლე, – არ რეაგირებდა არანაირ გარეგან გაღიზიანებაზე, მხოლოდ თავის ტკივილს გრძნობდა და კნავილისმაგვარ, გაურკვეველ ბგერებს გამოსცემდა. როცა მდგომარეობა უკიდურესად გართულდა, მაშინღა მიაკითხეს ფიტო-თერაპევტს... ჩაწერილი მაქვს ყოველი კურსის შემდგომი შედეგი, – ეს ბავშვი ჩემს თვალწინ „გააცოცხლა“ ქალბატონმა რუსუდანმა, მაგრამ არც ანკეტურ მონაცემებს მოვიტან, არც ჩემს ჩანაწერებს გაგაცნობთ, – წარმოვადგენ მხოლოდ გიას ფოტოსურათებს მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ...

XXX

რუსიკო ექიმის გზის გამგრძელებელია მისი რძალი, ექიმი მარინა წულუკიძე. თავიდან მარინაც არ ცნობდა ფიტო-თერაპიას, რადგან მისი თაობის ექიმები ასე აღზარდეს... მაგრამ, როცა თავის თავზე გამოსცადა მცენარეთა ღვთაებრივი ძალა, მაშინღა დარწმუნდა, რატომ დადიოდა მისი დედამთილი საქართველოს მთა-ბარში და რატომ აგროვებდა ათასგვარ მცენარეს. თუ როგორ გახდა დედამთილის პაციენტი, ამაზე თავად მოგვახსენებს:

– 1987 წელს მოულოდნელად დამემართა პანკრეატიტის და კალკულოზური ქოლეცისტიტის მწვავე შეტევა, რომელიც გართულდა თირკმლის გიდრონეფროზით. რასაკვირველია, მცენარეული წამლები არ მიმიღია და მე და ჩემი მეუღლე მაშინვე გადავფრინდით მოსკოვში, ცნობილ აკადემიკოსებთან ლაპატკინთან და მაზოსთან. ოცდღიანმა მკურნალობამ პრაქტიკულად უშედეგოდ ჩაიარა და დაინიშნა ოპერაცია. ძალიან ცხელი აგვისტო იყო, ცოტა ხნით თბილისში დავბრუნდი და სექტემბერში ვაპირებდი საოპერაციოდ წასვლას. ამ დროს, გიდრონეფროზის ფონზე, განვითარდა თირკმლის უკმარისობა, – ძალიან დავმძიმდი. ვიფიქრე, მაინც ვკვდები-მეთქი და სხვა გზა აღარ მქონდა, – დედამთილს ვთხოვე დახმარება. ფიტო-მკურნალობის დაწყებიდან სამი დღის შემდეგ მკვეთრი გაუმჯობესება დამეწყო, ჩავიტარე სრული კურსი და მას შემდეგ შეტევა აღარ განმეორებულა. (პერიოდულად ვიტარებ პროფილაქტიკურ ფიტომკურნალობას).

მარინა თვლის, რომ რამდენადაც ადამიანი ბუნების ნაწილია, იმდენად თვით ბუნებაში დევს ნებისმიერი დაავადების განკურნების საიდუმლო: – ცხოველმა სულ არ იცის მედიცინა, მაგრამ იცის, ტკივილის დროს რომელი ბალახი მოძოვოს, – ეს არის ის ინსტინქტი, რომელიც ღმერთმა ჩადო ყოველ ცოცხალ არსებაში... სანამ ადამიანი მჭიდრო კავშირში იყო ბუნებასთან, მანამდე ნაკლები იყო შემაძრწუნებელი დაავადებები, ჩვენს საუკუნეში კი, მოწყდა ბუნებას და ძირითადად, მიეკედლა ქიმიას; სამწუხაროდ, არ არსებობს ქიმიური პრეპარატი, რომელსაც გვერდითი მოვლენა არ ახასიათებს, რაც გამორიცხულია მცენარეებით მკურნალობისას. გარდა ამისა, ტრადიციული მედიცინა მკურნალობს დაავადების შედეგს, ხოლო მიზეზი რჩება მიზეზად. ფიტოთერაპია კი ამაღლებს იმუნურ სისტემას და ორგანიზმს საშუალებას აძლევს თვითონ უმკურნალოს საკუთარ თავს. ის, რომ ორგანიზმს აქვს დაცვითი სისტემა, ეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი, – ეს კოდი ღვთისგან არის ჩადებული ყოველ არსებაში, – მხოლოდ განსაკუთრებით კრიტიკულ შემთხვევებში უნდა მიეხმაროს ექიმი ადამიანს, რათა გაუძლიეროს დაცვითი მექანიზმი, რათა ორგანიზმი უფრო აქტიური გახდეს.

მცენარის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება კიდევ ის არის, რომ ორგანიზმიდან გამოაქვს მეტაბოლიზმის ნარჩენები და ასუფთავებს მას. ეს ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავად იცოდნენ და, შეგნებულად თუ შეუგნებლად სულ[illegible]ნებდნენ მცენარეულ ნახარშებს... მე, როგორც ექიმს, მიმაჩნია, რომ 30 წლის შემდეგ ნებისმიერმა ადამიანმა, 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაიტაროს ზოგადი პროფილაქტიკური ფიტო მკურნალობა.

მარინა ყველაფერში ეთანხმებოდა დედამთილს, ეთანხმებოდა, რომ მცენარეული წამლები შესანიშნავია, როგორც კუჭ-ნაწლავის, ასევე ასთმურ თუ ენდოკრინული დაავადებების დროს, მაგრამ ვერაფრით ვერ ეთანხმებოდა მთავარში – მცენარეთა უდიდეს მნიშვნელობაზე ონკოლოგიურ შემთხვევებში.

– სულ წინააღმდეგი ვიყავი, გაგონება არ მინდოდა მცენარეებით სიმსივნის მკურნალობაზე, მაგრამ როდესაც „ჩვენი ოჯახის მთავარი ექიმი“ ბათუმში წავიდა სამუშაოდ და თბილისში მე მომიწია მისი მოვალეობის შესრულება, როცა უშუალო შეხება მქონდა ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ ავადმყოფებთან, მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, რომ მცენარეებით კიბოს მკურნალობა ძალზე ხშირად შესანიშნავ შედეგს იძლევა.

XXX

რუსუდან ლომიძეს ერთი ვაჟი ჰყავს – მალხაზი და ორი შვილიშვილი. ვაჟმა მამის პროფესია აირჩია, შვილიშვილები კი ოჯახის ძველ ტრადიციას აგრძელებენ. 24 წლის რუსუდანი უკვე ქირურგია, მუშაობს მოსკოვში, ფიოდოროვის თვალის კლინიკაში. მეორე წელია წარმატებით აკეთებს ოპერაციებს და ამზადებს სადისერტაციო თემას, სექტემბრიდან კი, ოქსფორდის თვალის ქირურგიის აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

მეორე შვილიშვილი, თათო 18 წლისაა, კინორეჟისორობა უნდოდა, მაგრამ ტრადიციამ თავისი გაიტანა და ისიც სამედიცინო ინსტიტუტის ინგლისურ ფაკულტეტზე სწავლობს. როცა ვკითხე, გააგრძელებდა თუ არა ბებიის დაწყებულ საქმეს, მიპასუხა: საბოლოო მიზანი მაინც ალბათ ეგ იქნებაო...

– მარტო ერთი შვილი რომ არ გამეჩინა, ბევრი მიმდევარი მეყოლებოდა! – სინანულით ჩაილაპარაკა რუსუდანმა და მზერა ოთახის მცენარეებზე გადაიტანა.

P. S.

წერილს „სოფლის ექიმი“ დავარქვი და მინდა გაგახსენოთ, რომ „სოფელი“ ძველ ქართულში ქვეყნიერების, სამყაროს მნიშვნელობით იხმარებოდა. ისიც ხომ გახსოვთ:

„სოფელი იმად არა ღირს,
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერარას არგებს მამულსა“.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**


**ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში – მ. კოსტავას ქ. № 14, V სართული.**





რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 8. 06. 99წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 06. .99წ.
წ. ქაღალდის ზომა 60X90$^{1}/_{8}$,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 700
შეკვეთა 694

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური იუმორი





მხატვარი ლასლო რებერი





# გვანცა აბაშიძე ოქსფორდის უნივერ-სიტეტის სტუდენტია



მართალია, ასეთ ფაქტში გაუგონარი არაფერია, ბევრ ჩვენს თანმემამულეს ნახავთ მსოფლიოს მრავალ სახელგანთქმულ უნივერსიტეტში, მაგრამ ნიჭიერი ქართველი გოგონა ყოველთვის გვახარებს, მით უფრო, თუ ის გვანცა აბაშიძესავით მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოვებული!

გვანცამ გერმანული გიმნაზია დაამთავრა და გერმანულთან ერთად ფრანგულიც შესანიშნავად შეისწავლა, მიიღო კიდეც სერთიფიკატი ფრიადი შეფასებით.

ნიჭიერ ქალიშვილს სიმღერას გიული დარახველიძე ასწავლიდა, ცეკვაში უფრო მეტ წარმატებას მიაღწია. როგორც ანსამბლ „გორდას“ სოლისტმა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა წარმატებით მოიარა.

შარშანწინ დაამთავრა ოქსფორდის კოლეჯი. შესანიშნავად ფლობს ინგლისურ ენას. ერთხანს ინგლისის სკოლაშიც სწავლობდა.

წლეულს კი გვანცა ოქსფორდის უნივერსიტეტის დიპლომატიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

გვანცას სახით საქართველოს კარგი სპეციალისტი და მოქალაქე ეზრდება.